წელიწადი მეორე | ფასი 5 კაპ. | პარასკევი, 29 იანვარი 1916 წ. | № 22

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადებათა ფასი

ჩვეულებრივ [illegible] პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე | **საქართველო** | წელიწადი მეორე

**უპრემიოდ:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ღირს 8 მ. 50 კ. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: პირველ იანვრამდე 3 მ., პირველ მაისამდე 3 მ., პირველ ენკენისთვემდე 2 მ. 50 კ., თვიურად—80 კ.

**პრემიით:** წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 10 მ. ფასის გადახდა შეიძლება 3 ვადაზედ: 1 იანვრამდე 5 მ., 1 მაისამდე 3 მ., 1 ენკენისთვემდე 2 მ. ვინც 1 მარტამდე 9 მ. შემოიტანს, გაზეთს ყველა პრემიით მიიღებს.

**პრემიები:** 1) სალიტერატურო კრებული „მერანი“ გამოვა 3 თვეში ერთხელ. ყოველ კრებულში მოთავსებულ იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ორიგინალი ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრების მიერ დასურათებული. 2) საქართველოს ბიბლიოთეკა „ჩვენი მრწამსი“ წიგნაკებად, საქართველოს ეკონომიურს და პოლიტიკურს საკითხებზედ. 3) საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური დიდი რუქა.

ცალკე მყიდველთათვის თვითეული კრებ. ეღირ. 1 მ. 30 კ., რუქა—2 მ., საქართველოს ბიბლიოთეკის თვით. წიგ.—50 კ.

**ფულის გამოგზავნა და ხელის მოწერა შეიძლება** რედაქციის კანტორაში ქ. თბილისი, მოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა № 4. ფოსტის ყუთი 76. (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4. почтовый ящикъ № 76.)

**ხელის მოწერა შეიძლება:** ქუთაისში: 1) თომა მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში, 2) კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში, 3) ი. კვიცარიძის მაღაზიაში. ბათომში: წიგნის მაღაზია „ცოდნაში“. თბილისში: ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგადოებაში ვასილ ედილაშვილთან. „Новая Рѣчь“-ის წიგნის მაღაზიაში ივანე კიკნაძესთან. სოსო ივანიძესთან. ხარფუხის კლუბის მამასახლის ალექ. ლორთქიფანიძესთან და სასტუმრო „უნივერსალში“, წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ში ს. მერკვილაძესთან. თელავში: ბ. სულხანიშვილთან, ვ. ციცქიშვილთან და კ. ონიკაშვილთან. სიღნაღში: ნიკო ახმეტელაშვილთან. ლაგოდეხში: ფორე ზედელაშვილთან. ქვემო ქიზიყში: ფიფო ალადაშვილთან. ზუგდიდში: კატო კედიასთან. მოსკოვში: გრიგოლ ვეშაპელთან. გორში: ალექსანდრე რომანიშვილთან. ხაშურში: ტრიფონ ჯაფარიძესთან. ჭკადუაში: კალისტრატე ალშიბაიასთან. დუშეთში: მღ. კონსტ. კავკასიძესთან. ს. ფშავში: ევგ. დალაქიშვილთან. ს. შილდაში: ვასილ კევლიშვილთან. ს. ენისელში: ალ. ჯორჯაძესთან. კახში: ზაქარია ედილაშვილთან. მაჩხაანში: ალექსანდრე ნადირაშვილთან და ნიკო კორაშვილთან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილის 9—3 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

პირველი წელი | პირველი წელი

„საქართველო“-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამთვეში ერთხელ გამოვა

**პაზმული და სამხატვრო კრებული**

**„მერანი“**

კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი. ფასს გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ეღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.

ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.

გაზეთ „საქართველო“-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მ ე რ ა ნ ი“ უფასოდ დაურიგდებათ.

ექიმი

**მ. დ. წინამძღვრიშვილი**

უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

**კალანდარიშვილი**

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოღლას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

ისადილეთ გემრიელად!

**ძველ სემინარიის შენობაში სასტუმრო**

**„ოსტერია“**

უმასპინძლდება გემრიელ სადილებით და ვახშმებით

სამზარეულო ყოველ ჟამს ამზადებს ევროპიულ ⁊ კავკასიურ

**სადილ ვახშმებს**

მწვადები ყოველგვარი. საცივი, ხარშო იმერული

საუცხოვოდ და სუფთად მორთული კაბინეტები

**ბილიარდები, ნარდი**

პატივისცემით { ი. ს. აბაშიძე / ვ. ა. თოფურიძე

(წ.—35—3)

ივახშმეთ გემრიელად!

**1916 წ. მიიღება ხელის მოწერა**

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

**„ნაკადულ“-ზე**

წელიწადი მეთორმეტე

ჟურნალი **„ნაკადული“** გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ**

**24** წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი 3** მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის **12 წიგნი—3** მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

**ხელის მოწერა მიიღება**

**ტბილისში**—„ნაკადული“-ს რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули“, Головинскій пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთან. **ფოთში**—ლუდმილა მეგრელიშვილთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, და ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში ⁊ ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მარიამ ნაკაშიძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი **თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**

**ჯეჯილი**

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

ოცდა მეშვიდე წელიწადი

ჯეჯილი დაარსებულია 1890 წ. გამოვა 1916 წ. თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა, პატარებისათვის და მოზრდილთათვის

**ჟურნალი „ჯეჯილი“**

თბილისში ეღირება 4 მან. ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან. ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ., ხელის მოწერა მიიღება თბილისში—ჯეჯილის რედაქციაში (არტილერიის ქუჩა, № 5.) რედაქციაში ისყიდება ყველა **26** წლის ნომრები და რედაქციის გამოცემული საყმაწვილო წიგნები.

**ფოსტის ადრესი:** Въ Тифлисъ въ Ред Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.

რედაქტორ-გამომცემელი **ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.**

ექიმი-დოსტაქარი

**გ. მ. მუხაძე**

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

**ახალი აფთიაქი**

პროვიზორის ახვლედიანისა

კბილის ექიმმა

**მამულაიშვილმა**

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოღლას ქუჩა, № 22.

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

27 იანვარი.

**უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. რიგის ყურის მარცხენა ფრთაზე მკვირცხლი სროლაა. რუსთა არტილერიამ ბევრს ადგილას გაჰფანტა გერმანელთა მუშები და ბალდონის შარა გზასთან ააფეთქა წამლის საწყობა. დვინისა, ლივენჰოფისა, სურკანის ნაწილში იაკობშტადტისა და დვინსკის შუა, თვითონ დვინსკთანაც, სასტიკი საარტილერიო სროლაა. მძიმე ზარბაზნები იხმარეს, განსაკუთრებით პონევოჟეს რკინის გზის ორთავე მხარეს. გალიციაში, ტარნოპოლის ჩრდილო-დასავლეთით მტერმა დაუშინა გლიატკის რაიონში, ახევე სროლა აუტეხეს ვორობიევსკას. ზალეშჩიკოვის ჩრდილო-დასავლეთით რუსებმა აიღეს უსეჩნო, ამასთანავე ჯარმა დნესტრის მარცხენა ნაპირზე წაიწია. ზალეშჩინის სამხრეთ-დასავლეთით მტერმა უხეიროდ ააფეთქა ნაღმი, რითაც მათივე თხრილებს მიაყენა ზიანი. ზალეშჩიკოვის სამხრეთ-ამოსავლეთით მწყემსობრივ მოვალეობით მოწამეობრივი სიკვდილით აღიბეჭდა თვისი სახელი მღვდელმა ალექსანდრე იაზლოვეცკიმ, რომელიც ჯვრით ხელში თავისი ნებით დაჰრილებს ჰკრებდა მტრის თხრილების წინ.

**შავი ზღვა.** 26 იანვარს რუსის ნაღმოსნებმა დაჰღუპეს ოსმალთა პატარა ხომალდი, რომელიც ნახშირით იყო დატვირთული.

**კავკასიის ასპარეზი.** მდ. არხავეს რაიონში რუსებმა ზოგიერთ პოზიციებიდან განდევნეს ოსმალები.

---

**პარიზი,** 26 იანვარი. სომის სამხრეთით რუასა და შონის შუა ჩვენმა არტილერიამ სროლა აუტეხა გერმანელთა მატარებელს. არგონებში ავაფეთქეთ მტრის თხრილები, დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

**სოლუნი,** 26 იანვარი. ფრონტზე სიწყნარეა. ყოველდღე ტრანსპორტები მოდის და მოაქვთ სურსათი და სამხედრო იარაღი. მოვიდა რუსთა ხომალდი „ოდესა“.

**ბუქარესტი,** 25 იანვარი. სტამბოლიდან ოფიციალად იუწყებიან, ანატოლიის რკინის გზა მხოლოდ და მხოლოდ ჯართა გადასაყვან-გადმოსაყვანად გვჭირიაო.

**პარიზი,** 26 იანვარი. სამხედრო მინისტრის ამხანაგი ბენარი, რომელიც განაგებს ჰაერში სამხედრო ნაოსნობას თანამდებობიდან გადადგა. წერილობით სამსახურიდან გასვლას იგი იმ მიზეზს ასახელებს, რომ გეთვალისწინებული პასუხის მგებლობის იქით ბევრი რამ ტვირთი დამაწვაო. მის მოადგილედ ალარავის ასახელებენ. ჰაერში სამხედრო ნაოსნობას დაუქვემდებარებენ სამხედრო მინისტრს.

ბრიანი და ლეონ ბურჟუა რომში მიემგზავრებიან, პარიზში მხოლოდ 2 თებერვალს დაბრუნდებიან. ბრიანს თან ახლდებიან საარტილერიო თანამდებობის მინისტრის ამხანაგი ტომი და მისი თანაშემწე გენერალი დიუმეზელი. ამის შესახებ გაზეთი „ტანი“ სწერს: ამ თორმეტ წლის განმავლობაში ეს პირველი მაგალითია, რომ საფრანგეთის მინისტრი ოფიციალ სახით სწვეოდეს იტალეთს. ბრიანის გამგზავრება ჰმოწმობს, რომ ლათინთა ერების დამოკიდებულება ერთი ორად განმტკიცდებაო.

**ტოკიო,** 26 იანვარი. იოკაჰამში და ტოკიოში აღმოაჩინეს გერმანელ ჯაშუშთა კრება, ისინი იკრიბებოდნენ ამერიკელ და იტალიელთა სახით, თავიანთ კრებებზე ითხოვენ, რათა თანხმობით იბრძოლონ ინგლისისა და ჩინეთის წინაალმდეგ.

**სოლუნი,** 26 იანვარი. გერმანოფილური გაზეთები ხალხის ასაღელვებლად ხმებს ავრცელებენ, ვითომც სოლუნზე გერმანელ ავიატორთ, თავდასხმის დროს მოკავშირეთა გემებმა ზღვიდან ყუმბარები ისროლესო. ვაცხადებთ, ასეთი ხმები სიმართლეს მოკლებულია: მოკავშირეთ ერთხელაც არ უსვრიათ.

**ჰავრი,** 26 იანვარი. საარტილერიო სროლა გაცხოველდა მთელს ფრონტზე, განსაკუთრებით პერვისა და დიქსმიუდეს შუა, სადაც ჩვენი არტილერიით გარეკილ იქმნენ მტრის მუშები.

ბელგეთის ჯართა უფროსი, რომელიც მონაწილეობას იღებდა კამეგურთან ბრძოლაში აცხადებს, რომ 15 იანვარს იაუნდში მოველით, სადაც ფრანგ-ინგლისელთა ჯარებს შევუერთდითო. სამთავე ეროვნების დროშა გამოფენილია ქალაქის მოედნებზე, ჯარები სამხედრო სალამს აძლევდნენ.

**ნიუ-იორკი,** 26 იანვარი. ვილსონთან ახლოს მდგომი პირები იუწყებიან, რომ იგი გერმანელთა წინადადებას იღებს „ლუზიტანიის“ დაღუპვის შესახებაო“.

**კოპენჰაგენი,** 16 იანვარი. ბერლინიდან იუწყებიან, იმპერატორ ვილჰელმის მეხუთე ვაჟი სუბუქად დაიჭრა ყუმბარის ნატეხისგან აღმოსავლეთის ფრონტზეო.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**რუსეთის ასპარეზი.**

**დვინსკთან.**

გერმანელების სამი ცეპელინი და ურიცხვი ჰაეროპლანები დვინსკს მიუახლოვდნენ. რუსებმა ზარბაზნები და ტყვიისმფრქვეველები დაუშინეს. მფრინავები სამხრეთისაკენ გაემართნენ.

**ბალკანეთი.**

**ბრძოლა ჰაერში.**

ავსტრია-უნგრეთის მთავარი ბანაკი იტყობინება: 25 და 27 იანვარს და 1 თებერვალს (ახალი დროთ-აღრიცხვით) ჩვენმა ჰიდროპლანებმა ლურაცოზე ივრიში მიიტანეს. 2 თებერვალს-კი ვალონას დააყარეს ყუმბარები.

იტალიელები ფიცხლად უშენდნენ ზარბაზნებს როგორც ხმელეთიდან ისე ზღვიდან. ერთი ჰიდროპლანი იძულებული გახდა მიწაზე დაშვებულიყო. მფრინავმა მოასწრო მეორე ჰიდროპლანში გადაჯდომა და თავს უშველა.

**მთაშავეთში.**

ცეტინიეში მყოფ მთაშავეთის მინისტრები პაპოვიჩი და რადულოვიჩი, „ნოიე ფრაიე პრესი“-ს თანამშრომლისთვის უთქვამს: „ავსტრია-უნგრეთის მთავარმა შტაბმა მეტად სამძიმო პირობები დაგვიდო დროებითი ზავისთვის, მაგრამ მდგომარეობა ისეთი საშინელი იყო, რომ ძალა უნებურად დავთანხმებულიყავით ამ პირობებზე. ავსტრიელები ორის მხრით გვივლიდნენ, მეფე ნიკოლოზს დატყვევება ელოდა. მახლობლებმა დაარწმუნეს მთაშავეთს გასცლოდა. ისე მაშურად მოხდა მისი გამგზავრება, რომ ბარგიც ვერ წაიღო.

**მთაშავეთი.**

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მიუშკოვიჩი უფრო ადრე გაერიდა მთაშავეთს. მეფის დასტურით შევადგინეთ ახალი მთავრობა, რომელშიაც მოჰყვნენ: პოპოვიჩი, რადულოვიჩი და გენ. ვესოვიჩი. რადულოვიჩი მინისტრთა საბჭოს თავჯდომარედ, პოპოვიჩი გარეშე და შინაგან საქმეთა მინისტრად, ვესოვიჩი სამხედრო მინისტრად.

**სკანდინავია.**

გერმანული გაზეთები „ასენდა“ და „ფონმარკენს“ იტყობინებიან: რუსეთმა შვეციის საზღვარზე 100 ათას მეომარს მოუყარა თავი და დიდძალი ზარბაზნებიც მიზიდა. რუსები შვეციის საზღვართან სიმაგრეებს აგებენ საჩქაროთაო.

**პოლონეთში.**

„ფოსიშე ცაიტუნგ“-ი იტყობინება: ვარშავის უნივერსიტეტში ამ წლის 1 იანვარს იყო 1070 სტუდენტი ვაჟი და 107 ქალი. ამათგან იურიდიულ ფაკულტეტზე იყო 227, საფიზიკო სამათემატიკოზე—222, სამკურნალოზე—553. შარშან 15 გიორგობისთვეს დაარსებულ საპოლიტეხნიკო ინსტიტუტში 1 იანვრისათვის იყო 549 მსმენელი. უნივერსიტეტთან მოწყობილია იაფი სასადილო, სტუდენტები ფორმის ტანისამოსს არ იცმენ.

**ესპანეთი.**

მადრიდის გაზ. „ლა ტრიბუნა“ იტყობინება: ესპანეთში ანკეტა მოახდინეს, ჰიბრალტარის თაობაზე. ცნობილ მოღვაწეს 45-ის აზრით ჰიბრალტარი ესპანეთს უნდა მიეკუთვნოს. ზოგიერთის აზრით ესპანეთმა უნდა შეიერთოს მთელი მაროკოს სანაპიროებიც.

## უკანასკნელი ფოსტა

**ზავის პირობები.**

ჩიკაგოს გაზ. „ტრიბუნა“-ში გამოაქვეყნეს ზავის ახალი პირობები გერმანელების წარდგენილი. გერმანეთი მოპირდაპირეებს მოსთხოვს: აღიარონ მისი პროტექტორატი ოსმალეთზე. მცირე აზია და არაბეთი გერმანეთის საკომერციო გავლენის ფარგალში უნდა მოექცეს. კურლიანდია გერმანეთს შეუერთდება. პოლონეთი და გალიციი ნაწილი ერთ სახელმწიფოდ გარდიქმნება, რომლის ტახტზედაც გერმანელს პრინცს დაჰსვამენ. რუმინეთი ნეიტრალობის ჯილდოდ მიიღებს ადგილებს რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთისაგან ბესარაბიას, ბუკოვინას და ტრანსილვანიას.

**რედაქტორის გასამართლება.**

„ფორვერტ“-ის რედაქტორი მეიერი სამართალში მისცეს ზავის ჩამოსაგდებად წერილების შედგენა-გავრცელებისათვის. საქმის გარჩევა 9 თებერვლისათვის არის დანიშნული. მრავალ მოწმეთა შორის ლიბკნეხტიც არის დაბარებული.

---

ინგლისში სავალდებულო სამხედრო ბევრის კანონი 2 მარტიდან განხორციელდება.

„იდეა ნაციონალე“-ს სიტყვით, მთაშავეთის გენერალი ბეცირი, რომელმაც ავსტრიელთა მორჩილებაზე ხელი მოაწერა, თავისმა ჯარისკაცება მოჰკლეს.

25 იანვარს ინგლისს ცეპელინები ესტუმრენ. სულ 24 ყუმბარა ჩამოაგდეს, უმთავრესად ყაზარმებში, თუმცა ზიანი არ მიუყენებიათ. ლონდონში ორი ყუმბარა გასკდა შაქრისა და ნავთის საწყობებში. ცეცხლი დილამდე ვერ ჩააქრეს ინგლისელმა და ფრანგმა მეხლვაურებმა. ადამიანის მსხვერპლი არა ყოფილა.

რუმინეთიდან ცნობაა: ბულგარელები უკვე მზად არიან სალონიკზე გასალაშქრებლად. ახალ სერბეთში საჩქაროდ გაჰყავთ გზები.

რუმინელი პოლიტიკური მოღვაწე ფილიპესკუ რუსეთში მიემგზავრება, რათა პირადათ დარწმუნდეს რუსეთის ჯარის საუცხოვო დარაზმულობაში.

გერმანეთის მთავრობაც იწვევს მას, გერმანელთა ჯარის გასაცნობად.

## ბრძოლის ველზე

ჩრთილოეთის ასპარეზზე ბრძოლა თან და თან გაძლიერდა და მკვეთრ სახეს ღებულობს. რიგის არე მარის მარცხენა ფრთაზე ცხარე საარტილერიო სროლაა. ასეთივე სროლაა იაკობშტადტსა და დვინსკს შორის და თვით დვინსკთანაც. ამ რაიონში მძიმე არტილერიაც მოქმედობს.

ბრძოლამ განსაკუთრებული მკაცრი ხასიათი მიიღო პონევეჟის რკინის გზის ორთავე მხარეზე. გალიციაში, ტარნოპოლის ჩრდილო დასავლეთით ავსტრიელებსა და გერმანელებს დიდი ყალიბის ნაღმები უხმარიათ. ზალეშჩიკოვის ჩრდილო დასავლეთით რუსებს დაუჭერიათ უსეჩკო.

შავ ზღვაში რუსის ნაღმოსნებს ჩაუძირავთ ქვანახშირით დატვირთული ოსმალეთის პატარა გემი.

კავკასიის ასპარეზზე ბრძოლა მდ. არხავეს ნაპირზე მომხდარა. დეპეშის ცნობით აქ რუსებს ოსმალები რამოდენი პოზიციიდან გამოურეკიათ.

არავითარი ცნობა არ მოდის სპარსეთში შეჭრილ რუსის ჯარის თაობაზე და არც აზრუმის მიმართულებით დაწყებულ ბრძოლის მიმდინარეობის შესახებაც.

მეგრი.

**თბილისი, 29 იანვარი.**

# დეპეშები

(„საქართველოს“ საკუთარის კორესპონდენტებისაგან).

რიგ-რიგად რუმინეთი დიდძალ ფქვილს აწვდის გერმანეთსაც და ინგლისსაც. ამ უკანასკნელთან რუმინეთმა მოლაპარაკება გამართა საგარეო სახელმწიფო სესხის ასაღებად.

—

რუმინეთის ოფიციალმა წრეებმა ავსტრიასთან მოლაპარაკება გამართეს რომ საბოლოოდ გამოარკვიონ მისაღები კომპენსაციის ხასიათი და რაოდენობა. მოლაპარაკება ჯერ არ დამთავრებულა. შიშობენ, ამ მოლაპარაკებას რამე დადებითი შედეგი მოჰყვება.

—

სარწმუნო წყაროებიდან ცნობები მოვიდა რომ სუეცის არხს იცავენ და სდარაჯობენ იაპონიის წყალქვეშა ნავები.

—

ცნობები მოვიდა, რომ იტალიელთა რაზმმა ჩრდილო-ალბანეთი დასტოვა.

—

ბერლინი დემონსტრატიულად ემზადება ოთხ დედოფლის მისაღებად. ამ მზადებაში მონაწილეობას იღებს ბერლინის არა ოფიციალი საზოგადოებაც. კონგრესზე ჩამოდიან შვეციის, ნორვეგიის, ბულგარეთის დედოფლები და დედოფალი საბერძნეთისა, იმპერატორ ვილჰელმის და.

—

სერბეთის სკუპშინა გაიხსნა რომის სასტუმროში.

—

გერმანეთის მთავრობამ აკრძალა სასალუქო ძვირფასი საგნების შემოტანა.

—

გენერალი რუზსკი კვლავ ბრუნდება ჩრდილოეთის ფრონტზე.

—

„ნოვოე ვრემია“ მოითხოვს სპარსეთის შემუსვრას, რომ ამით საბოლოოდ გადაიჭრას თვით რუსეთის სამხრეთის პრობლემები და მიზნები.

—

„რუსკია ვედომოსტში“ კიროვი ეხება ოსმალეთის ასპარეზს და სწერს: გაზაფხულის სამხედრო ოპერაციების სული დატრიალდა, დიდი ამბებია—მოსალოდნელიო.

—

წითელი ჯვრის გამგეობა წინააღმდეგია ახალ-ახალ საეროზო ლაზარეთების გახსნისა.

—

სახელმწიფო სათათბიროში შტიურმერის შემდეგ გამოვა პროგრესიული ბლოკი დეკლარაციით, რომ აუცილებელია ბლოკის პროგრამაში აღნიშნულ რეფორმების განხორციელება. პროგრესიული ბლოკის შემდეგ სათათბიროს ფრაქციები თავთავის დეკლარაციით გამოვლენ. ადგილი ექნება მიმდინარე პოლიტიკური მომენტის გაკრიტიკებას და შეფასებას.

# ახალი ამბავი

**ქართულ თეატრის** აღსადგენ თანხის სასარგებლოდ „ახალ კლუბში“ შეგროვდა წარსული წლის აპრილიდან მიმდინარე წლის 25 იანვრამდე 10.062 მან. 10 კაპ.

**ექსარხოსის ლექცია.** ამ მოკლე ხანში საქართველოს ექსარხოსი პლატონი საარტისტო საზოგადოების დარბაზში წაიკითხავს ლექციას დაჭრილ და ავადმყოფ მხედართა სასარგებლოდ. ლექციის თემა აღებულია ექსარხოსის მოგზაურობიდან ამერიკა საფრანგეთ-გერმანიაში.

**პირველ დაწყებითი სკოლა.** წერა-კითხვის საზოგადოების უკანასკნელმა კრებამ მიუცილებელ საჭიროებად სცნო სკოლების დაარსება საინგილოსა, ბორჩალოსა და განაპირა სამეგრელოში. 27 ამა თვეს საზოგადოების მთავარმა გამგეობამ დაადგინა დაევალოს სასკოლო სექციას წარმოუდგინოს მას შემდეგ სხდომისათვის მოხსენება, თუ სად უფრო საჭიროა ამ თავითვე სკოლის გახსნა.

**სამხედრო საგნების ნიმუშების გამოფენა.** ადგილობრივ საოლქო საინტენდანტოს უფროსის ა. პ. ნეიმანის თაოსნობით 13 ვაგონში გამოფენილია მხედრობისათვის საჭირო საგნების ნიმუშები. გამოფენილი ნივთები აკურთხეს 27 ამა თვეს და განჯისაკენ გაისტუმრეს. შემდეგ გამოფენილ ნივთებს რკინის გზით სხვა კუთხეებშიაც გაგზავნიან. გამოფენის მიზანია გააცნონ საზოგადოებას საჭირო ნივთები მხედრობისათვის, რათა მსურველთ შეძლება მიეცეთ ესა თუ ის საჭირო ნივთი მიაწოდოს საინტენდანტოს.

**დეპუტაციის დაგვიანება.** გრ. ი. ი. ვარანცოვ-დაშკოვის დასაფლავებაზე დასასწრებლად თბილისის ქალაქის საბჭოს მიერ გაგზავნილ დეპუტაციას დაჰგვიანებია გზაში და დაკრძალვას ვერ დასწრებია. შემდეგ კი დეპუტაციას წირვა და პანაშვიდი გადაუხდევინებია და გვირგვინი დაუდვია განსვენებულის საფლავზე. დეპუტაციის წევრის ბ-ნ სვეშნიკოვის პირით გრაფინია ე. ი. ვარანცოვ-დაშკოვისას სალამი გადმოუცია ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვისათვის.

**წერა-კითხვის** საზოგადოების მთავარმა გამგეობამ თავისს გამოცემათა კორექტორად აირჩია ტერენტი წერეთელი.

**შეწირულება.** ბ-ნმა ი. ჩიტოშვილმა შესწირა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას გიორგი ქუჩიშვილის თხზულებათა 100 ცალი ბათომის ოლქში უსასყიდლოდ დასარიგებლად.

**სტიპენდიის დანიშვნა.** 27 ამა თვეს წერა-კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ დ. ხ. სარაჯიშვილის სახელობის თანხიდან სტიპენდია დაუნიშნა მოსკოვის საკომერციო ინსტიტუტის სტუდენტს დავით ჩადუნელს და ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტს ალ. შავანგირაძეს.

**ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების** სარევიზიო კომისიამ უკვე შეამოწმა წარსულ წლის ანგარიში, რომელიც ამ მოკლე ხანში დაიბეჭდება და დაეგზავნებათ საზოგადოების წევრთ, აგრეთვე ყველა მსურველთაც.

**ვადის გაგრძელება.** შესაძლებლად მიუჩნევიათ—სათადარიგო ჯარისკაცთ და 1 და 2 ხარისხის მოლაშქრეთ, რომელთაც უმაღლესი სასწავლებელი 1915 წ. დაუმთავრებიათ, მათი წლოვანების მიუხედავად, შეღავათი ამ წლის თიბათვის 1-მდე გაუგრძელდეთ.

უმაღლესად ნაბრძანებია ამ წლის მარტის 1-მდე ჯარში წაყვანის ვადა გადაიდოს უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში მყოფ იმ მოსწავლეთა, რომელნიც 1918 წ. უნდა გაწვეული-ყვნენ და შეღავათს ითხოვდნენ.

**ფოსტა-ტელეგრაფის** უფროსი ბ-ნი მუსელიუსი სარევიზიოდ გაემგზავრა.

**სამოსწავლო ოლქის** უფროსი ბ-ნი რუდოლფი თბილისს დაბრუნდა.

**შიო მღვიმელის საღამო** ქუთაისში 30 იანვრის მაგიერ გამართულ იქნება 14 თებერვალს.

**აგარაკის** ასაგებ გამგე კომიტეტმა წაღვერში, მიიღო 100 მან. წაღვერის წვრილი კრედიტის ამხანაგობისაგან.

**თბილისის გუბერნატორად** ფლიგელ-ადიუტანტ მანდრიკის დანიშვნა მართლდება.

**ერევნის ვიცე-გუბერნატორად** ინიშნება შინაგან საქმეთა სამინისტროს მდივანი პანჩულიძე.

**ქართ. კულტურულ განმანათლებელ** კავშირის კრება 25 მარტისთვის დაინიშნა.

**ტრადიციულ საღამოს** გასამართად ქართ. კულტურის მოყვარე საზოგადოებამ აირჩია კომისია. კომისიაში შედიან ზ. ი. გველესიანი. გ. ს. იმნაშვილი, ა. ხ. ლორთქიფანიძე, გ. თ. ჟორდანია და ი. გ. მაღალაშვილი.

**სადეპუტატო საკრებულომ** დანარჩენი 600 მანეთი შემდეგ ნაირად გაანაწილა: 400 მანეთი მიეცა ქართულ კულტურულ განმანათლებელ კავშირს, 100 მან. შიო მღვიმელს და 100 მან. უფასო სასადილოს სათავადაზნაურო გიმნაზიისა.

**საქმე დ. მ. დუმბაძისა.** ქ. განჯაში დაიწყო საქმის განხილვა ყოფილ რედაქტორის „ზაკ. რეჩისა“ ჟურნალ. დ. მ. დუმბაძისა, რომელსაც უჩივის მთელი შემადგენლობა თბილ. ოლქის სასამართლოს შეურაცხყოფის მიყენებისათვის წერილში, რომელიც დაიბეჭდა შარშან აღნიშნულ გაზეთში.

**ისევ გადმოხვეწილნი.** სომეხთა სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას დეპეშით ატყობინებს ბ-ნი აბოვიანცი ალაშქერის ყარაკლისიდან: ახლად დაპყრობილ ოსმალეთის პროვინციებიდან მოეშურება მთელი ტალღა გადმოხვეწილთა; ბინები არ იშოვება; შემატყობინეთ როგორ მოვიქცე; მოვათავსო გადმოხვეწილნი ყარაკლისის ახლო-მახლო სოფლებში, თუ კავკასიაში გამოვისტუმრო?

**შემოტანილია** თბილისში 27 ამა თვეს: ფქვილი 5 ვაგ., ქერი 1 ვაგ., შეშა 32 ვაგ., ქვანახშირი 2 ვაგ., ნავთი 8 ვაგ., მაზუთი 6 ვაგ., თეზაფი 2 ვაგ., ბამბა 1 ვაგონი.

**გადამდები სნეულებანი.** გუშინ 28 იანვარს, ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 160, ხუნაგიანი 20, სახადიანი 20, საოფლიანი 12, მუცლიანი 1, წითელი ქარიანი 1 და მენინგიტიანი 2 კაცი.

# „საქართველოს“ დახასიათება

დიდი წინასწარმეტყველება არ იყო საჭირო იმის გამოსაცნობად, თუ ქართულ სოციალისტურ ორგანოების შემდეგ როგორ „დაახასიათებდა“ „ჰორიზონი“ „საქართველოს“. ჩვენ წარსულ წერილშიაც აღვნიშნეთ, რომ კარგს ვერაფერს იტყვის, მაგრამ ასეთ თავაშვებულ უტიფრობას მაინც არ მოველოდით. „ჰორიზონი“ თავის თავს უფლებას აძლევს ასე ილაპარაკოს:

„საქართველოს“ გარკვეული სახე არა აქვს. მკითხველზე ახდენს შთაბეჭდილებას ნერვებით ავადმყოფისას, რომელთანაც ლაპარაკი არ შეიძლება და რომელიც ყურს არავის უგდებს. შეუძლებელია მის ლანძღვაზე ადამიანმა ზრდილობიანად გასცეს პასუხი. გულგრილად ვერც ერთს საკითხს ვერ არჩევს. სხვისი აზრისა და სიტყვის პატივისცემა არა აქვს: ლანძღავს მარჯვნითა და მარცხნით ყველას, ვინც მის რაზმს არ ეკუთვნის. **ამ გაზეთის მოღვაწეობის ღერძია ქართული ნაციონალური საქმე. მას ჰსურს ქართველი ხალხი დაკავშირებული იყოს განურჩევლად მემამულისა, გლეხისა, მექარხნისა, მუშისა, მღვდელისა, მეცნიერისა და სხვა.** საკმარისია, რომ ყველა ესენი ქართველები არიან. **შეურიგებელია ტერიტორიის საკითხში; აქ მას არავითარი კომპრომისი არა სწამს.** მან იცის მხოლოდ ისტორიული საქართველო და არავითარ ანგარიშს არ უწევს სინამდვილეს. მისი წერილებიდანა სჩანს, რომ „უცხო“ ელემენტებმა თავიანთ სახლ-კარს თავი უნდა დაანებონ და წავიდნენ საქართველოდან, როგორც ისეთი ადგილიდან, რომელიც ისტორიულად ქართველებს ეკუთნოდათ. ან თავი უნდა დაანებონ პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ საკითხებზე ფიქრს. **მას ეჯავრება „დათმობითი“ პოლიტიკა ფედერალისტებისა,** დასელები კი ყველა უბედურებათა მიზეზად მიაჩნია. იმათ, ვინც მათ რაზმს არ ეკუთვნის, „ერის მოღალატეებად“ ნათლავს.

მეზობელთაგან მხოლოდ სომხები სძულს; „კლდისა“ და „საქართველო“-ს ნომრები სავსეა ამგვარი წერილებით. **მას მოთმინების ფიალა აევსო, როდესაც ომის საშინელებათა გამო სომხები კავკასიაში გადმოსახლდნენ.** უკანასკნელთა შესახებ იგი ამბობდა ყველაფერს, რაც კი ენაზე მოადგებოდა. იგი არ დაკმაყოფილდა იმით, რომ დაინანა სახაზინო დახმარება. იგი

# სოფელი და სოფლელები

სოფ. მგალობლიშვილის მოთხრობებში.

(კრიტიკული მიმოხილვა)

(გაგრძელება)

ნ. უსპენსკის გლეხის აზროვნების აღწერას უმთავრესად ანეგდოტური და თან ფოტოგრაფიული ხასიათი აქვს. თავის-თავად ცხადია, რომ ასეთი ფორმა მწერლობისა მხოლოდ გარდამავალი იქნებოდა და ადგილს დაუთმობდა ხალხის ცხოვრების უფრო სერიოზულს და ტიპიურს დასურათებას. მართლაც, მალე გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე გლებ უსპენსკი. მან გამოსვლისათანავე გამოიჩინა დიდი დაკვირვების ნიჭი; გლ. უსპენსკიმ ხელი მიჰყო უმთავრესად ხალხის ცხოვრების გამოკვლევა-შესწავლას. თავის მოთხრობებში მან გადაშალა ნამდვილი სურათი ხალხის ცხოვრებისა და თან და თანი ცვალებადობისა და გართულებისა. მას იმდენათ არ აინტერესებს, „სული“ ხალხისა, რამდენადაც ამ სულის გამომჟღავნება და გამოაშკარავება თანამედროვე საქმეებში და საქციელში. გლ. უსპენსკის კალმის ქვეშ გლეხმა დაჰკარგა ანეგდოტიური სასაცილო ელფერი და გადიქცა ტრაღიკულ გმირად. გლ. უსპენსკიმ თავისი გმირი ჩააყენა ცხოვრების ნამდვილ პირობებში და ეს იმ მიზნით კი არა, რომ საზოგადოებაში მისდამი სიბრალული გამოეწვია, არამედ იმისთვის, რომ ყველასთვის გასაგებად გაეხადნა მისი ცხოვრების რეალური პირობები. ამნაირად დადგა ახალი ხანა ხალხოსნური მწერლობის მსვლელობაში—ხანა ნატურალისტური, რომელიც ძლიერ ენათესავება გოგოლის მიერ დამყარებულ მიმართულებას. გ. უსპენსკი შემქნელი და ნიჭიერი წარმომადგენელია ამ მიმართულებისა. შესანიშნავის გულმოდგინებით და დაკვირვებით არჩევს და არკვევს უსპენსკი სოფლის ხალხის ცხოვრებას, არა როგორც მხატვარი, არამედ როგორც პუბლიცისტი და კრიტიკოსი. ამ კვლევა-ძიების დროს ხალხის ცხოვრება ბევრს სასიამოვნო მოვლენას უშლის მას თვალწინ, მაგრამ ამავე დროს იგივე ცხოვრება ხშირად საზარელი მოვლენებით და ფაქტებითაა აღსავსე. მაგალითად, მწერალი ხედავს ხალხში საუკუნოებით დამყარებულს თვისებებს: სიმკაცრეს, სიბეჩავეს, უმეცრებას, მონურ მორჩილებას, უპროტესტობას, ბედთან შერიგებას. ასეთის მიუდგომელ კვლევა-შემოქმედებისთვის გ. უსპენსკის ზოგიერთებმა ხალხის „მოღალატე“ უწოდეს. თუ გ. უსპენსკი არ ფარავდა ხალხის ნაკლულოვანებას და იკვლევდა მის ცხოვრებას როგორც ნატურალისტი, ზლატოვრაცკი,—ეს მეორე ნიჭიერი მწერალი,—სულ სხვა საზომით ზომავდა იმავე საგანს და სულ სხვა დასკვნამდისაც მიყავდა თავის კრიტერიუმს. ხალხი მისის აზრით, ხელუხლებლად შენახულია სულიერი სისაღე და ძალა: გლეხი დიდათ მგრძნობიარეა; ის მზათ არის თავი შესწიროს ყოველივე დიადს და კეთილშობილ საქმეს, თუ ეს საქმე მან გაიგო და მისი დაცვა საჭიროთ დაინახა. ეგოიზმს ადგილი არა აქვს რუსის ხალხის სულიერ თვისებებში. ცხოვრების გარეგანი პირობები რადიკალურად არ სცვლის, არ ამახინჯებს რუსის ხალხის ფსიხიკას; ეს პირობები მხოლოდ დროებით აფერხებს და აჩერებს ხალხის განვითარებას და წინსვლას. რუსის ხალხი სრულებით არ არის მონა თვისის შერყვნილ-შელახული ბუნებისა; იგი ღირსეულად უმკლავდება მოხლავებულ უბედურებას და მხოლოდ მაშინ იხრის ქედს, როდესაც დაბრკოლების დაძლევა ყოვლად შეუძლებელია. (არ. ვვედენსკი, გვ. 291, 326). როგორც ვხედავთ, ზლოტოვრაცკი იდეალურად უცქერის რუსის ხალხს; მწერალს უყვარს იგი და ცდილობს სხვაშიაც გააღვიძოს ეს წმიდა გრძნობა.

ეჭვს გარეშეა, რომ ავტორი ძლიერ სუბიექტიურად ეპყრობა თვის კვლევის საგანს და ბევრს მოთხრობებში, წინააღმდეგ გ. უსპენსკის კრიტიკა-ანალიზისა, გადამეტებული ლირიზმი და იდეალიზაცია შეაქვს. ამ ლირიზმს კი ავტორი მრუდე და ყალბი გზით მიჰყავს და საგრძნობლად ამახინჯებინებს მას თავის საყვარელ საგნის სახეს.

ხალხის ამგვარის იდეალიზაციით ზლოტოვრაცკი ენათესავება მეორმოცე წლების მწერლებს (ტურგენევს, გრიგოროვიჩს).

როგორც ზემოდ ვსთქვით, ხალხოსნურ მწერლობას რუსეთში ვრცელი და რთული ისტორია აქვს. ამ დარგის მწერლობას ემსახურებოდნენ არა ერთი და ორი, არამედ ოცი, ოცდა ათი და კიდევ მეტი დიდის და პატარა ნიჭის პატრონი მწერლები. საზოგადოდაც რუსული ლიტერატურა დიდს ყურადღებას აქცევდა ხალხს და მის ცხოვრებას. მწერლობის ყოველ დარგში ჩვენ ვამჩნევთ განსაკუთრებულს ინტერესს ხალხისადმი. მხოლოდ საკვირველი ის არის, რომ მთელის საუკუნის განმავლობაში ხალხოსნურმა მიმართულებამ ვერ შექმნა ისეთი ღირსების მხატვრული ნაწარმოები, რომლის დაპირისპირება ღირსებით შეიძლებოდეს საზოგადო ტიპის ცნობილ ნაწარმოებთან და რომელიც ღირსი იყოს უკვდავებისა და მთელის ერის და კაცობრიობის ხსოვნა-პატივისცემისა. სჩანს, რომ იყო რაღაც სერიოზული მიზეზები, რომელიც აფერხებდა ხალხოსნურ ლიტერატურის ფრთის გაშლას და ჯეროვანად განვითარებას.

რუსულ ლიტერატურის ამ მიმართულებაზე ჩვენ იმისთვის შევჩერდით შედარებით ასე ვრცლად, რომ სწორედ ამ მიმართულების ზედგავლენით მე-XIX საუკუნის მეორმოცე წლებში ჩვენში დაიბადა, ეგრედ წოდებული, „ტეტიათა მოტრფიალობა“, როგორც განსაზღვრული ლიტერატურული მიმართულება. ჩვენ ვიცით, რომ უმთავრესს მიზანს და მისწრაფებას ამ მიმართულებისა შეადგენდა ხალხის ცხოვრების, მისი ზნე-ჩვეულების, მსოფლმხედველობის და ენის შესწავლა, გაშუქება და დასურათება.

მართალია, ხალხი, გლეხობა თავისთავადაც იქცევდა ყველა ჩვენი მწერლების ღირსეულს ყურადღებას, მაგრამ მეოთხმოცე წლებში გამოჩნდნენ ისეთი, ხალხის წრიდან გამოსული მწერლებიც, რომლებმაც განსაკუთრებული მიზნით მიჰყვეს ხელი ხალხის ცხოვრების შესწავლას და დასურათებას. ამ უკანასკნელთ ეკუთვნის ბ. სოფ. მგალობლიშვილი, რომლის მოთხრობების გარჩევა შეადგენს საგანს ჩვენი მიმოხილვისა ..

ქართულს ლიტერატურაში „ტეტიათა მოტრფიალობას“ თითქმის არა აქვს ისტორია. თუმცა საზოგადოდ ქართული მწერლობა ძველად და ახლადაც ხალხს და მის ცხოვრებას ყურადღებით ეპყრობოდა და ეპყრობა, მის ჭირ-ვარამს იზიარებდა და იზიარებს, ღირსად სთვლიდა და სთვლის მას მხატრული აღწერა-დასურათებისა, მაგრამ სპეციალური ელფერით და სახით ხალხოსნური ლიტერატურა ჩვენში ჩაისახა მხოლოდ მე XIX საუკ. უკანასკნელ მეოთხედში და ისიც რუსული ხალხოსნური ლიტერატურის დაგვიანებულ და შესუსტებულ ზედგავლენით.

ჩვენი „ტეტიათა მოტრფიალეთ“ არ ყოლიათ ქართულ ლიტერატურაში წინამორბედნი, ე. ი. ჩვენში ამ მიმართულებისათვის არ იყო სპეციალურად გზა გაკაფულ-დამზადებული. თუმცა ჩვენ, სამწუხაროდ, არ გვაქვს საჭირო და საკმაო საბუთები და წყაროები,—არა გვაქვს ჩვენი მწერლების და მოღვაწეების ვრცელი ბიოგრაფიები, ავტო-ბიოგრაფიები, მონოგრაფიები, მოგონებანი,—რომ გადაჭრით დავასახელოთ, თუ რომელმა რუსის მწერალმა იქონია გავლენა ქართველ „ტეტიათა მოტრფიალეებზე“, მაგრამ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს ხალხოსნურ რუსულ ლიტერატურის კოლლექტიურ გავლენასთან. ეჭვს გარეშეა ისიც, რომ ჩვენი „ტეტიათა მოტრფიალენი“ იცნობდნენ რუსის „ნაროდნიკებს“, მათს მიმართულებას და მისწრაფებას, რომ თანაუგრძნობდნენ ამ მიმართულებას და სურვილი ჰქონდათ ქართულ ლიტერატურაშიაც განემტკიცებინათ ამგვარი მიმართულება. ერთი კი ცხადია, რომ „ნაროდნიკობის“ იმ შტოს, რომელსაც ნიკოლოზ უსპენსკი წინუძღოდა და რომელიც ცნობილია „სიცილის მომგვრელ“ (смѣхотворный) მიმართულების სახელით,—ამ შტოს ნიადაგი ვერ უპოვნია ჩვენში.

არც ზლოტავრაცკის „გლეხის გამშვენიერებას“—იდეალიზაციას ჰქონია ჩვენში მკვიდრი ნიადაგი.

ჩვენი „ტეტიათა მოტრფიალენი“, ჩვენის აზრით, წარმოადგენენ გლ. უსპენსკის ნატურალურ-კრიტიკულ მიმართულების ცოტათი შემსუბუქებულ და შევერცხლილ ფორმაციას.

შესაძლებელია, რომ „ნაროდნიკობის“ ასეთი გადახალისება ჩვენში შეუმჩნევლად, ინსტიქტიურად მოხდა; მაგრამ ისიც შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ჩვენმა მწერლებმა შეგნებულად უარყვეს უკიდურესობა რუსეთში არსებულ ორი მიმართულებისა და საუკეთესოდ სცნეს მათი სინტეზი.

ობიექტიურად უნდა ვსთქვათ. რომ ჩვენმა „ტეტიათა მოტრფიალებმა“ ღირსეულად ვერ შესძლეს, ვერ მოახერხეს არჩეულ მიმართულების გამოყენება, მისის საშუალებით ხალხის სულის და გულის, ყოფა ცხოვრების და მსოფლმხედველობის ჯეროვანად და ნიჭიერად ახსნა-დასურათება. გარდა რამოდენიმე კერძო ეპიზოდებისა და მოვლენისა, მათ ვერ გააშუქეს, ვერ ახსნეს ხალხის ცხოვრება და ძირითადი თვისებები ხალხის პიროვნებისა; ვერ გამოიჩინეს მწვავე და დაჟინებული ინტერესი ხალხისადმი; ვერ ჩასწვდენ ხალხის სულის საიდუმლოებას; ვერ ამოიკითხეს იქიდგან მკაფიოდ,

უფრო შორს წავიდა. მან გამოაცხადა, კავკასია გამოქცეულთათვის არის „აღთქმის ქვეყანა“. აქეთ იმიტომ მოდიან, რომ მიიღონ თბილი ტანისამოსი, პური, ფეხსაცმელი. აქ ჰსურთ გადმოსახლდნენ თავისი საკუთარი სურვილით; მათ სხვა ათასი მოჰყვება. ხშირად პროვოკაციასაც(?) ეწევა. იგი ამტყუნებს სომხებს, აზრადა აქვთ „ეჩმიაძინი“ მომავალ ავტონომიურ სომხეთს შეუერთონ და ოსმალებსა და სპარსელებს ომი გამოუცხადონო“.

სრულიად ვეთანხმებით „ჰორიზონის“ იმ ადგილებს, რომელთაც ჩვენ ხაზი გაუსვით, მაგრამ თუ ეს „სახის გამოურკვევლობასა“ ნიშნავს, დეე, თვითონ „ჰორიზონის“ ლოღიკამ გამოარკვიოს. რაც შეეხება ხაზგასმულ ადგილებს, ამაზედ ჩვენ სათითაოდ გავცემთ პასუხს: პირველი „ტაეპი“ ფრიად საგულისხმოა: „ქართული ნაციონალური საქმე“, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით, სომხებზედ თურმე „ნერვებით ავადმყოფ ადამიანის“ შთაბეჭდილებას ახდენს. თუ კი ამის მეტი თავის დამამშვიდებელი საბუთი არა აქვს „ჰორიზონს“, ალბად არც არის ასეთი საბუთი და იგიც კარგადა გრძნობს, რომ ისეთ ადგილას შესტოპეს, საცა საბუთის მაგიერობას ზემომოყვანილი უზრდელობა ლა სწევს.

რაც შეეხება მეორე ტაეპს—იგი შემცდარი აზრია: ჩვენ კარგად უწევთ ანგარიშს სინამდვილეს და ამიტომ **ჩვენს** ისტორიულ საქართველოს კი არ ვეპოტინებით, როგორც სომხები ეპოტინებიან **სხვისა** ისტორიულ ტრაპიზონს და ალექსანდრეტას, არამედ რეალურ საქართველოსათვის საარსებო ადგილებს: თბილისის და ქუთაისის გუბერნიებს გამოუკლებლივ, ბათომის, სოხუმის და ზაქათალის ოლქებს, აი ჩვენი **პატარა** საზღვრები,

ტყუილია, ვითომც ჩვენ ვერეკებოდეთ „უცხო“ ელემენტებს თავიანთ სახლ კარიდან. ჩვენ საზღვარსა ვსდებთ მათსა და ჩვენს შორის და და ვამბობთ: უფლებრივი ძალა განსაზღვრულ ტერიტორიაზედ უნდა იყოს ქართველებისა და იმის გარეთ—სხვისა

საქართველო არას დროს არა სდევნიდა უცხოელებს და არც „საქართველო“ აპირობს ამას, მაგრამ საქართველო ყოველთვის თავს იცავდა თავდამსხმელთაგან და ჩვენ დღესაც მარტო ამას ვქადაგებთ.

მეზობელთაგან საქართველოს მარტო სომხები სძულსო, ამბობს მესამე ტაეპი, მაგრამ ჩვენ რომ მაგ. ოსმალეთის სომხების ამბებზედ ვამბობდით **სწორედ იმას**, რასაც ერთი წლის შემდეგ იმეორებს პროფესორი მინასიანცი, ეს სიძულვილია? დიახ, მინასიანცს სძულს სომხის ერის ავანტიურისტები, რადგან მათ დაღუპეს სომხეთიო და ჩვენცა გვძულან ეს ავანტიურისტები,

უკანასკნელ ტირადაში „ჰორიზონი“ შეეხება გამოქცეულებს: „კლდეს“ და „საქართველოს“ დაენანა სახაზინო დახმარება გამოქცეულთათვისაო. ვითომ გულუბრყვილო „ჰორიზონს“ არ ესმის ჩვენ რა დაგვენანა. ჩვენ გარკვეულად ვარჩევდით **გულშემატკივრობას, პოლიტიკურის ნაბიჯისაგან** და ვამბობდით, რომ სახაზინო დახმარება სამტრო ქვეყნიდან გამოქცეულებისათვის—**პოლიტიკური ნაბიჯია**, რომელიც გამოიწვევს ბევრს უსიამოვნებას სომხებისათვის ოსმალეთშიაც და ადგილობრივა/ც. აი ამ მთავარ განსხვავებას „ჰორიზონიც“ და ბევრნი სხვანიც **განგებ** ყურადღებას არ აქცევდნენ და არ აქცევენ, რამაც უკვე თავისი სასურველი ნაყოფი მოიტანა.

ყველა ამის გარდა, „ჰორიზონი“ პროვოკაციასაც კი გვაბრალებს: ვითომ ჩვენ ვამბობდით როდისმე (?!), „რომ სომხებს აზრად აქვთ „ეჩმიაძინი“ შეუერთონ მომავალ ავტონომიურ სომხეთს და ოსმალებსა და სპარსელებს ომი გამოუცხადონო“. ერთი გასინჯეთ ეს ბავშვური ბე, ბე, ბე, მე მე, მე...“ რომ ეჩმიაძინს ტენდენცია ჰქონდეს ავტონომიურ სომხეთთან შეერთებისა—ეს რა დასამალია, ან ვინ დაიჯერებს რომ მადა კიდევაც და მეორეც ვის თვალში უნდა იყოს პროვოკაცია სპარსეთისა და ოსმალეთისათვის ომის გამოცხადება? რუსეთის წინაშე ეს დაბეზღება და პროვოკაცია არ იქმება, რადგან მისი სასარგებლო ამბავია და სპარსეთისა და ოსმალეთის წინაშე რომ პროვოკაცია გავწიოთ, ჯერ უნდა შაჰის და სულთანს ქართული ენა შევასწავლოთ, რომ „საქართველო“ წაიკითხონ და ამის მიხედვით სომხებზედ თვალსაზრისი შეადგინონ. აი თურმე რა ბავშვური პროვოკატორული იმედები გვქონია ქართველებს

რ. გ.

# საჭირო საქმის დამთავრებისა და მოწესრიგების შესახებ

გაზ. „საქართველოს“ მე-15 №-ში დაბეჭდილი იყო ბ. ი. მაჰავარიანის წერილი ჩვენი მწერლების აღნუსხვის შესახებ, რომელშიაც ავტორი აღნიშნავდა ქართველ მწერლის უხერხულ მდგომარეობას და გასაჭირს ამგვარ ნუსხის უქონლობისა გამო.

ავტორი მოუწოდებდა წერა-კითხვის გამავრცელებელ, საისტორიო და საეთნოგრაფიო და ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოებებს შეერთებულის ძალით ეკისრათ ამგვარ ნუსხის შედგენისა და გამოცემის საქმე. ავტორი შეეხო გაკვრით აგრეთვე ამ საქმის ტეხნიკურ მხარესაც და ბოლოს დასძენდა: კარგი იქნება—ჩვენს გაზეთებსაც შემოეღოთ ის წესი, რომელიც უკვე არსებობს ევროპიულ და რუსულ დიდრონ გაზეთებშიო.

ზემოხსენებულ წერილის შენიშვნაში რედაქციამ აღნიშნა, რომ პატივცემულ პროფესორ ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით და ხელმძღვანელობით პეტროგრადის ქართველ სტუდენტების ერთი ნაწილი უკვე ეწევა ამ სახის მუშაობას; კატალოგი დამთავრებულია და იბეჭდება კიდევაცო. საჭიროდ მიმაჩნია ამ საკითხის შესახებ საზოგადოებას ვაუწყო საქმის ნამდვილი ვითარება და დღევანდელი მისი მდგომარეობა.

ქართულ მწერლობის აღნუსხვას 1909 წლიდან აწარმოებდა პეტროგრადის უნივერსიტეტთან არსებული ქართული სამეცნიერო წრე, რომელსაც ხელმძღვანელობს დღევანდლამდე პატივცემული პროფესორი ივ. ჯავახიშვილი. წრემ შეადგინა უკვე 1820 წლიდან—1910 წლამდე გამოსულ ჟურნალ-გაზეთების ნუსხი, რომელიც შეიძინა სამეცნიერო აკადემიამ პატივცემულ პროფესორის და აკადემიის წევრის ნ. მარის დახმარებით.

სამეცნიერო აკადემიამ იკისრა ამ დიდი შრომის თავის ხარჯით გამოცემა და ამასთანავე მგონი ოცდა ათ თუმნამდე გადასცა ამ შრომისათვის ქართულ სამეცნიერო წრეს მის ქონებრივ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

პეტროგრადში უკვე იბეჭდება და ახლო მომავალში გამოვა კიდევაც პირველი ნაწილი, რომელშიაც მოთავსებული იქნება მხოლოდ ოთხი სამეცნიერო დარგის აღნუსხვა (არხეოლოგიისა, ენათ მეცნიერებისა, ეტნოგრაფიისა და ისტორიისა), და რაიც შეადგენს მხოლოდ ერთს მეოთხედს მთელ გამოსაცემ შრომისას.

რაც შეეხება დანარჩენ მასალების გამოცემას იგი ჯერ-ჯერობით შეჩერებულია და, როგორც გარდმოგვცა პრ. ივ. ჯავახიშვილმა და იოსებ ყიფშიძემ, აკადემია დიდხანს კიდევ ვერ შესძლებს ამ მასალების ბეჭვდას. ამის გამო პეტროგრადშივე ჰქონიათ მსჯელობა იმის შესახებ, რომ ეს დაუბეჭდავი მასალები გადაეცეს რომელიმე შესაფერ ქართველ საზოგადოებას, თუ კი უკანასკნელი იკისრებს ამ საქმის გაძღოლას ადგილობრივის ძალებით. პრ. ივ. ჯავახიშვილის თანხმობით, ამის შესახებ მქონდა მოლაპარაკება პატივცემულ ექვთიმე თაყაიშვილთან, რომელსაც, როგორც ქართველ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარეს, ვსთხოვდი ეკისრა ამ საჭირო საქმის გაძღოლა. ბ. ექვთიმე თაყაიშვილი დიდის თანაგრძნობით მიეგება ამ წინადადებას, მაგრამ განაცხადა, რომ დღეს დღეობით შეუძლებელია ამ საქმის მოწესრიგება ბეჭდვის სიძვირისა და მით უმეტეს ქაღალდის უქონლობისა გამო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ქართულ მწერლობის აღნუსხვა შედგენილია მხოლოდ 1910 წლამდე. ამიტომ ბ. ექვთიმე თაყაიშვილს ვთხოვე აგრეთვე ეკისრა იმგვარ წრის ხელმძღვანელობა, რომელიც შეუდგება 1910 წლიდან შემდგომ ქართულ გამოცემათა აღნუსხვის საქმეს სისტემატიურად. ამგვარი წრის დაარსება საჭიროა და უფრო მოსახერხებელიც სწორედ ქ. თბილისში, სადაც გამოდის უმეტესი ნაწილი ქართულ გამოცემათა და სადაც არსებობს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთსაცავი, რომელშიაც ინახება მთელ ქართულ გამოცემათა ეგზემპლიარები.

მაგრამ ამ საქმის მოწესრიგებასა და მის გაძღოლას ესაჭიროება, ერთგვარ ქონებრივ და ზნეობრივ დახმარებასთან ერთად, აგრეთვე მომუშავე ძალებიც.

ყველა ამისი შექმნა და მისი გაძღოლა უნდა იკისროს ქართულ პრესის ყოველგვარ მიმართულების რედაქციებმა.

ჩვენის აზრით—ამგვარი წრის შექმნა ამ საჭირო საქმის დასამთავრებლად და მის მოსაწესრიგებლად, იქნება უკეთესი და უძვირფასესი საჩუქარი, რომლითაც, ქართულ სამწერლო ასპარეზზე გამოსულთ მუშაკთ, შეუძლიანთ აღნიშნონ ამ ახლო მომავალში ქართულ პრესის ასის წლის შესრულების დღე. პატივცემული ექვთიმე თაყაიშვილი ამგვარ წრის დაარსების აზრსაც დიდის თანაგრძნობით მიეგება. მან განაცხადა თანხმობა ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრების დანიშვნაზე, რომელზედაც მოწვეულ იქნებიან ყველა მიმართულების ქართულ გამოცემათა წარმომადგენელნი და აგრეთვე ზოგიერთ ქართულ საზოგადოებათა წარმომადგენელნიც.

დასასრულ, უმორჩილესად ვთხოვთ ყველა ორგანოს აღნიშნონ და, თუ საჭიროდ სცნობენ, გამოსთქვან თავისი აზრი და შეხედულობა ამ საკითხის შესახებ.

მომავალ კრების შესახებ ცნობა იქნება მოთავსებული ამ დღეებში ახალ ამბავთა შორის.

**გიორგი მამრაძე.**

# მოწოდება

**საზოგადოების საყურადღებოდ.**

ქართულ სახელმოქმედო საზოგადოების მთავარი გამგეობა, მოაგონებს რა თავის უკვე შეძენილ წევრებს საწევრო ფულის შემოტანას, უმორჩილესად სთხოვს იმ პირთაც, ვისაც ჩვენი გაჭირვებაში ჩავარდნილი ხალხის დახმარების საჭიროება ღრმად აქვს შეგნებული, მიიღონ მხურვალე მონაწილეობა და ჩაეწერონ წევრებად.

იმ ფულს, რომელიც შემოდის სხვა და სხვა დაწესებულებიდან, თავისი განსაკუთრებული დანიშნულება აქვს (გადმოხვეწილთა დახმარება, აჭარაში საავადმყოფოების და სკოლების დაარსება და სხვა).

სხვა საზოგადო მოთხოვნილებანი კი მრავალგვარია. მათ დასაკმაყოფილებლად, რამოდენიმედ მაინც, საჭიროა სხვა წყარო და სხვა საშუალებანი.

იმედია, ყველა გულშემატკივარი დაგვეხმარება და მოისურვებს თავის წვლილის შემოტანას. წევრად ჩაწერა, ისე როგორც ყველა შემოწირულების მიღება, შეიძლება ქართულ სახელმოქმედო საზოგადოების ბინაზე (თბილისი, სასახლის ქუჩა, თავად-აზნ. სახლი) და ყველა ადგილობრივ განყოფილებაში.

**ქართულ სახელმოქმედო საზოგადოების მთავარი გამგეობა.**

# საგულისხმო ცნობები

**მშვენიერება და განცხრომა.**

ამერიკულ გაზეთს ანკეტა მოუხდენია, იმის გამოსარკვევად თუ ვის როგორ ესმის „მშვენიერება“.

ერთს ახალგაზრდა ყმაწვილ კაცს მოუწერნია: მშვენიერებაა, როცა 15 წყვილი შალვარი გექნება და თითო წყვილზე თითო პიჯაკი.

ჟურნალისტს [illegible] რედაქციაში მომუშავეს [illegible] მშვენიერებაა, როცა რედაქციაში ისეთი მყუდროებაა, რომ ბუზის გაფრენის ხმა ისმის და ნამწვავი პაპიროსი რომ დავარდეს, მეგონოს, ყუმბარა გასქდაო.

მილიონერს უთქვამს: ორასი მილიონი უნდა გქონდეს და არავინ კი არ უნდა იცოდეს რომ ასეთი მდიდარი ხარ. უნდა გთვლიდნენ ღარიბად და ასეთ ღარიბებთან საქმეს იჭერდე. უყვარდე თუ სძულდე კაცს არა იმიტომ, რომ ჩემგან დახმარებას მოელის, არამედ იმიტომ, რომ მე მდიდარი ვარ.

ქალს უთქვამს: უყვარდე დ მოსწონდე ყველასაო.

**ჯაშუშობა ძველად.**

ჩინეთის სარწმუნოების დამაარსებელ კონფუცის თანამედროვე ფილოსოფოსს სუენ-ძეს ჰქონია ერთი წიგნი სახელად „ომის წესი“, სადაც ნათქვამი აქვს, რომ ჯაშუშობის მოწყობა მხოლოდ ღრმად ჭკვიან კაცს შეუძლიანო და განაგრძობს:

— მთავარსარდლის გამარჯვებას ხელს ჯაშუში უწყობს.

ნიჭიერი მთავარსარდალი მომაკვდავ მთავარსარდლისგან იმით განსხვავდება, რომ პირველს შეუძლიან ჯაშუშების შემწეობით გაიგოს გეგმა და განზრახვა მოწინაამდეგისა. მთავარსარდალი მოსაზრებებს მკითხავებს და ანგელოზებს კი არ უნდა ეყრდნობოდეს, არამედ ჯაშუშისგან მოწვდილს ნამდვილ უტყუარ ცნობას და საიდუმლოს.

ჯაშუშობა ხუთ დარგად იყოფა: 1) ჩვეულებრივი, 2) უცხო, 3) შინაური, 4) ჯაშუში სიკვდილისა და 5) ცხოვრებისა.

პირველნი არიან ადგილობრივი მკვიდრნი ჯაშუშნი, მეორენი უწინდელნი მსახურნი მოწინაამდეგისა, მესამენი მტრის ჯაშუშნი, რომელთ მოსყიდვას მოახერხებ, მეოთხენი ეს ისეთი ჯაშუშები არიან, რომელნიც მტერს ყალბ ცნობებს აწვდიან და მეხუთენი ისეთნი, რომელთაც მტრის ბანაკიდან შეუძლიანთ გადმოსვლა და კვლავ გადასვლა. კაცი თუ ჭკვიანი და გამჭრიახი არ არის, ჯაშუშობის მოწყობას ვერ მოახერხებსო.

# ღია წერილი

**(ბ-ნ ნოე სიმონის ძე ჟიჟიშვილს)**

ბოდიშს ვიხდი, პასუხი დამაგვიანდა. თქვენი წერილი ჩემს მცირე შეკითხვაზე „ნუთუ მართალია“ (სასულიერო სემინარიის ძველ შენობის თაობაზე) შეიცავს უტიფარ კამათს და გაბოროტებულ კილოს, რის გამოც, მართლაც, ჩვენმა რედაქციამ არ ისურვა მისი დაბეჭდვა. შეგეძლოთ ჩემი შეკითხვა უტყუარ ფაქტებით გაგეშუქებინათ და ეჭვები გაგეფანტათ როგორც ჩემთვის, ისე მრავალს ჩემებრ დაინტერესებულ პირთათვის. თქმა არ უნდა, ასეთ წერილზე რედაქცია არასოდეს უარს არ გეტყოდათ.

თქვენს გაბოროტებულ კილოსთვის მე საბაბი არ მიმიცია. წერილი უად-

---

თუ რითი სულდგმულობს და სცოცხლობს ხალხი, რას ესწრაფვის მისი სული და გული. მით უმეტეს, მათ ვერ გაარკვიეს და არც კი ცდილან გაერკვიათ ხალხის ეკონომიური და სოციალური მდგომარეობა და ის რყევა-ცვალებადობა, რომელსაც განიცდის ხალხი მდგომარეობა-გარემოებათა ცვალებადობის მიხედვით (ვგულისხმობთ ბატონ-ყმობას, ახალს სამართალს, რკინის გზას, კაპიტალის წარმოშობას და სხვ.). ერთის სიტყვით, „ტეტიათა მოტრფიალებმა“ ჩვენში მესედი იმისაც ვერ მოახერხეს და ვერ მოიმოქმედეს, რაც შექმნეს და მოაგვარეს მათ რუსმა კოლეგებმა.

სხვებს თავი დავანებოთ, ავიღოთ, მაგალითად, უნიჭიერესი წარმომადგენელი „ტეტიათა მოტრფიალებისა“— ნ. ლომაური მისი „ქაჯანა“ და „ალი“ ღირსშესანიშნავი და საყურადღებოა მხოლოდ როგორც სანიმუშო ხელოვნური ნაწარმოები და არა როგორც ცხოვრების რთულ ვითარებათა ყოველ მხრივი გაშუქება-დასურათება. ისინი მხოლოდ მხატვრული ნაგლეჯია, მცირე და შედარებით უმნიშვნელო ეპიზოდის ნიჭიერად მოქარგვაა და არა მთლიანი და რთული ცხოვრების ახსნა-ცხადყოფა.

ჩვენმა „ტეტიათა მოტრფიალეებმა, ასე წარმოიდგინეთ, სკოლაც ვერ შექმნეს, უმემკვიდროოდ დარჩნენ. ეჭვს გარეშეა, რომ მათ თვისი შემოქმედების სასიმღერო საგანს გზა ისე ვერ გაუკაფეს, ისე ვერ შემოსეს იგი შარავანდედით, რომ მისი სიმშვენიერით მოეხიბლათ, გაეტაცნათ ახალგაზდა ნიჭიერი მწერლები. ალ. ყაზბეგი, ევნ. ნინოშვილი, დ. კლდიაშვილი, ეკატ. გაბაშვილი, შ. დედაბრიშვილი, ვ. ბარნოვი და სხვებიც, თქვენც დამეთანხმებით, მათ მემკვიდრეებათ არ გამოდგებიან და ამ გვარს მემკვიდრეობას ითაკილებენ კიდეც.

და თუ, მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ამ მიმართულების ერთი ნიჭიერი წარმომადგენელის—ზ. სოფ. მგალობლიშვილის ნაწერების მიმოხილვა და გარჩევა განვიზრახეთ, ეს იმ შეგნებით და ღრმა რწმენით, რომ ამ მწერალს და მის ნაწერებს ჩვენთვის ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ს. მგალობლიშვილმა შეიტანა ჩვენი მწერლობის საღაროში თვისი ღირებულიანი წვლილი და საზოგადოდ თავის მოღვაწეობით ხელი შეუწყო და დღესაც ხელს უწყობს მშობლიურ ლიტერატურის წინმსვლელობას. როგორც ნიჭიერმა კალმოსანმა, სოფ. მგალობლიშვილმა ხელოვნურად შეიმუშავა და გააშუქა ზოგიერთი ეპიზოდებით დ მოვლენებით ჩვენის ხალხის ცხოვრებიდგან და ამით, სხვებთან ერთად, მასალა დაუმზადა მომავალს დიდს ეროვნულს შემოქმედს ჭეშმარიტი ეროვნული ტიპების შესაქმნელად. ასეთი ღვაწლიც დიდი და საშვილიშვილოა.

ზ. სოფ. მგალობლიშვილი ხალხოსნური მიმართულების მწერალია. თვისი მოთხრობების მომეტებულს ნაწილში ის აგვიწერს სოფელს და სოფლელებს, მათს ადათ-ჩვეულებებს, ხასიათს და მისწრაფებას, ჭირს და ლხინს, გონებრივ და ზნეობრივ მდგომარეობას.

ჩვენი მწერალი გრძნობს განსაკუთრებულს სულიერს კავშირს სოფელსა და სოფლელებთან; ესმის მათი მაჯის ცემა, გულის ნადები; უყვარს მათი მძიმე და ჭირ-ვარამიანი, მაგრამ შრომით და გარჯით გაკეთილშობილებული და გაპატიოსნებული, ცხოვრება. პირ-იქით, ს. მგალობლიშვილს სძულს, ეზიზღება სოფლის და სოფლელების მჩაგვრელები და იმედოვნებს, რომ მალე დადგება დრო )ამის ნიშნებს დღესაც ამჩნევს), როდესაც ხალხი გათვითცნობიერდება, გონებას გაინათლებს, უმეცრების ბრჭყალებიდგან თავს დაიხსნის, ადამიანის და მოქალაქის მოვალეობას შეიგნებს და თავს არავის დააჩაგვრინებს, არავის პირუტყულად არ დამორჩილდება.

ს. მგალობლიშვილს უყვარს ის მიწა-წყალი, ის მხარე, სადაც მისი საყვარელი სოფლელი სცხოვრობს, სადაც იღვრება მისი პატიოსანი ოფლი და იხარჯება მისი ქვეყნის მასაზრდოებელი ძალა. ნაზის გრძნობით და მოსიყვარულე გულით აღგვიწერს მწერალი ჩვენი სამშობლოს სიკეკლუცეს, სიმშვენიერეს და სილამაზეს. აი ჩვეულებრივი, მაგრამ საუცხოვო და თვალწარმტაცი, სურათი ჩვენის სოფლისა: „ძაღლის ხევას აქვს საუცხოვო და სასიამოვნო ადგილები: შიგ სოფელში ოთხივ-კუთხე არის მწვანე, ხავსის ფერი ბალახით შემკული მინდვრები, საიდანაც სოფლის წვრილფეხი საზრდოვობს; გადადგებით მაღლობზე და თქვენს თვალს წარმოუდგება დიდი ღელე, მთელი ხეობა, სიგანით ოთხი ვერსი და სიგრძით რამდენიმე ოცი ვერსი, ვიდრე მტკვრის პირამდე. ეს ღელე თავიდან ბოლომდის გავსებულია ვენახებით; აქა-იქ ჰღელავს მრავალ-ფეროვანი სიმინდი; ხედავთ კაკლის ჭალებს; ათასფრად გამოიცქირება ეს ღელე; დილით გადახედვა სწორედ თვალს მოსჭრის ადამიანს; ათას-ნაირად მობრჭყვიალებს დილის ნამი; სიამოვნებით გული უტოკავს კაცს, თითქო მაღლდება, აღტაცებაში მოდის, გული გასაფრენად ემზადება: ნიავი ცელქობს, ნაზად არხევს კაკლის ხის წვერებს, რომელზედაც შემსხდარან ფოხოლა ყვავები და ამაყად და მალხაზად, კისერ-გვერდზე მოქცევით, გადმოიყურებიან თავის სადგურიდან. ამ მშვენიერს, სასიამოვნოდ ატეხილს ჭალებს, სიმინდებს, ვენახებს, შუაში ჩამოუთამაშებს მდინარე—ფრონე, რომელიც ანკარა წყალს მოათამაშებს, მოაჩხრიალებს ჭალებში; მაღლიდან ეს მდინარე ერთს პიტალო სარკეს ჰგავს, რომელიც, როცა ეცემიან მზის სხივები, ათას-ფრად ბრჭყვიალებს და ციმციმებს; მთელი ის იმოდენა ჭალები, ვენახები შიგ გადაჰყურებენ ფრონეს, შიგ იხედებიან და ილამაზებენ თავებს, როგორც კოხტა პატარძალი. ამის მნახველი უნებლიედ იტყვის: „ოხ, რა მშვენიერი ხარ, ფრონევ, რომ ამ სიმშვენიერესთან ერთი სისაძაგლე არ გჭირდეს, ერთი ისეთი სიავაზაკე, რომლითაც შენ უკლავ გულს ძაღლის ხეველებს“ (მოთხ. „ღამის მეხრე ცეცო“, გვ. 4—5).

კერძოდ, მშვენიერია სოფელში „ულრუბლო, მოწმენდილი ღამე“. „ვარსკვლავები ლაჟვარდ ცაზე ციმციმებენ, კაშკაშებენ, შორით ერთმანეთს სალამს აძლევენ, ეთამაშებიან. ჭალას ზედ დაბრდღვიალებს ციმციმით ეს ვარსკვლავთ გროვანი, ესაყვარლებიან მორცხვი პატარძალივით, შორით ესვრიან მკრთალ სხივებს. ამ სხივებს პასუხს აძლევენ ქვემძრომნი შიშინჭიჭინით. მაღალი ვერხვი, მრავალტოტიანი, ნელად არხევს კენწეროს ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ. ვერხვი თვისი ფოთლებით თითქოს ეარშიყება მოღიმარე ვარსკვლავს და იწვევს, ეპატიჟება ძირს, დედამიწაზე. მახლობლად მინდვრიდგან ხანდაზმით ისმის ტურუას: „ტრრრ, ტრრრ“, რომელიც მიჩუმებულ, მოწმენდილ ღამეში მანუგეშებელია ადამიანისთვის, რომელიც მგზავრს სიამოვნების ნიშნად გულს უტოკებს და შემაწუხებელს, კაცის დამაფიქრებელ ღამეს ძალას უკარგავს. ამ ღამეს მწყერები,—ეს „პურის მტრები“, შეუწყვეტლად ჭიკჭიკობენ; ეტყობა, საცოდავები ღამე ქურდულად იკრიბებიან, რომ თავის სამშობლო ქვეყანაში გაიპარონ. რათა მოიპოვონ მოსვენებული ცხოვრება („ღამის მეხრე ცეცო“, გვ. 34).

არა ნაკლებ სასიამოვნოა სოფელში დილა და დილის სურათები; „ირაჟრაჟა!... ვარსკვლავთ ფერი ეცვალათ, დაჰკარგეს სიბრწყინვალე და სიკეკლუცე, მერმე სრულიად გაჰქრნენ; აღმოსავლეთისკენ ბინდმა სინათლეს დაუთმო ადგილი, მხოლოდ დასავლეთისკენ ცას შერჩა ერთიღა ვარსკვლავი, რომელიც დღის მომავალ სინათლეს თითქოს ეჯიბრებოდა. გათენდა, გაიღვიძა ბუნებამ! კვირა დღეა და გლეხ-კაცობა ჯერ არ იშლება: მზე ამოსასვლელს არის და აი აიშალა ხალხი; ჩავარდა სოფელში ხმაურობა, საქონლის ბღავილი, ხვიხვინი ცხენთა; სოფელი სდუღს დილით სიცოცხლითა: მიერეკებიან საქონელს სანახიროსკენ; პაწია მწყემსები მიჩანჩალობენ გუდების ხრაგა-ხრუგით; თავშალ წაკრულ გოგოებს ფეხშიშველა ფეხით დაუთითოებიათ ხბორები, წაუვლიათ კუდებში ხელი და მიარბევინებენ. ხბორები, რძით გამაძღრები და ნასიამოვნები მშვენიერი დილით, ფუნდრუკით და კოწიაწით გარბიან-გამორბიან და მიათრევენ გოგოებს. აი, აგერ!—დაეცა ერთი ნამიან ბალახზე; აი, მეორესაც დაუსხლტა ხბოს კუდზე ხელი და პირქვე გაიშხლართა მიწაზე, საბრალოს პირი მიწით აევსო; იწმენდს, იხედავს ხელზე, ტირის, იჩიჩქნის თვალებს; ბრაზი მოსდის, რომ იმისმა ამხანაგებმა ბრაგვა მიატაივნეს სანახიროზე ხბორებს და ამას კი უბედურობა დაემართა. ჩერდება ერთ ალაგას და ტუჩი ჩამოუშვია. ხალხი ხარხარებს ამის დანახვაზე; ტაშსა სცემს „ჰიი, ჰიი“ ეუბნება. აი ტოლი გოგოები მოვიდნენ, ხელი წაჰკრეს, გეეხუმრნენ; დაჩაგრულმა ერთი უცბად შესცინა, გადიყარა დარდი და—ჰაიდა!—გაქანდა პროწიალ-პროწიალით“. („ღამის მეხრე, ცეცო“, გვ. 58).

მშვენიერია სოფელი მდორე უქარო საღამოსაც, როცა მარტოთ- მარტო ცივი ზეკა გცემს შუბლში, როცა ხედავ პირუტყვსა, მომავალს ფეხ-მძიმეთ, კოწიაწით, როცა ხედავ ფერად-ფერად ფრინველებს, რომლებიც ამსებენ სიხარულით ცის კამარას, მთელს არემარეს, კაცის გულს. მშვენიერია სოფელი, როცა გლეხს, ამ მინდვრის შვილს, შემოუკრებია თვის კალო-საბძელთან მთელი წლის ნაწვავ-ნადაგი, სისხლის ოფლით ნაჭირნახულევი, და დამკვიდრებულა თვის ცოლ-შვილში. როცა მათთან ერთად აბინავებს საზამთროდ სარჩო-საბადებელს საკუჭნაოებში როცა მარგალიტის ფერს ხვავს დოლის პურისას აიღებს და შემდეგ, შემოიკრებს-რა ცოლ-შვილს კალოს პირას, მიეცემა განცხრომას და დატკბობას მათის ყურებით!“

(„გმირისეულის ქალი“, გვ. 13).

(შემდეგი იქნება)

**ივ. ვართაგავა.**

რესოდ იყო დაწერილი და საქმის ვითარების განმარტებას მოვითხოვდი არა მარტო თქვენგან, არამედ საზოგადოდ ამ შენობის მოიჯარადრეთაგან. სხვებს ხმა არ ამოუღიათ. ვწუხვარ. თქვენ დაიტეხეთ თავზე ბრალდება და რაღაც უცნაურ „ეჭვებს“ აუშფოთებიხართ, ბ-ნი ქართლელის ფსევდონიმს ისეთი შეძლებული ადამიანი ხომ არ ამოფარებულა, რომელსაც შეუძლიან „გამიამხანაგდეს“ და ბოლოს ამ შენობიდანაც გამომდევნოსო. გამშვიდებთ: წერილის ავტორს თავის კალმის იქით სხვა ავლა-დიდება არა მოეპოვება რა და თუ რკალების გახსნას მოისურვებთ, არც მაგაზე გაგექცევით, გნებავთ საქვეყნოდ, გნებავთ გაზეთის ფურცლებზე, გნებავთ შინ გაახლებთ ჩემს სადარბაზო ბარათს, სახელს და გვარს, თუ გნებავთ ნათლობის მოწმობას და... პასპორტსაც კი.

თქვენ ორ პუნქტად გაჰყეთ ჩემი ბრალდება: ა) უცხო ტომის ადამიანის გაამხანაგება ქართველთა ღალატობაა, და ბ) ამ გვარ ამხანაგობას მოჰყვება „გაძვალტყავებულ სამღვდელოების გაძარცვა.

მოგახსენებთ. ჩემი ბრალდების პირველი მუხლი სწორია. მე დღესაც იმ აზრს ვადგივარ, უცხო ელემენტთა გაამხანახება, ისიც **ისეთ უცხო ელემენტთა**, ვისაც ვგულისხმობთ დღეს, დიახაც, მავნებლად მიგვაჩნია, ვინაიდან ქართველი ვაჭარი ამ „უცხოელთან“ ვერ ბოგინობს, მათს რკალებში ისრისება და ხელიდან მისდის არა თუ სუსტი საკუთარ ხელით მონაგარი, არამედ მამაპაპეული დოვლათიც კი. ეს ნათლად იყო განმარტებული ჩემს წერილში. მეორე:, თვით სამღვდელოებამ ბევრი ვაი-ვაგლახი აიტანა, მაგრამ ამ „უცხოელთ“ არ ჩაუგდო ხელში, თუმცა სარფიან პირობებში იღებდნენ. რატომ? სწორედ მაგისი შიშით: სადა ეს ელემენტები შეჰყოფენ ხელს, იქ ქართველის ბარაქა ილევა, ისპობა. სამღვდელოებამ იწროება აიტანა იქნობამდე, ვიდრე სასურველი მოიჯარადრები არ იპოვნა. ამტომ დღესაც გავიმეორებ: გაიამხანაგეთ ვინც გსურთ, თუნდა ის „ჰოტენტოტებიც,“ ვინც თქვენს წერილში მოიხსენეთ, ოღონდ თავი ანებეთ მაგ ელემენტებს, ნუ გაურევთ ამ საქმეში.

სხვაფრივ წერილს არ გავაგრძელებ. ეჭვებს გიფანტავთ, მე არც მსურვებია და კიდეც რომ ვისურვო ვერ გაგიამხანაგებდით.

**ქართლელი.**

# წერილები თელავიდან

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

4

ეს მეოთხე თვეა თელავს ვადა-გასული ხმოსნები განაგებენ, მიუხედავად ამისა ახალ არჩევნებზე ჩამიჩუმიც არ ისმის. როგორც ეტყობა ქალაქის თავს ბ-ნ თათუზოვს ეს გარემოება სრულიადაც არ აწუხებს და ამგვარ საკითხებზე გარჯა და ზრუნვა საჭიროდ არ მიაჩნია.

ასეთი უყურადღებობა და არაფრად ჩაგდება მცხოვრებთა ინტერესებისა ბ-ნ თათუზოვის მხრივ არაფერ არაჩვეულებრივს არ წარმოადგენს, ვინაიდგან ამით ხასიათდება მთელი მისი მრავალ-წლოვანი საქალაქო „მოღვაწეობა“; სავალალო მხოლოდ ის არის, რომ კერძო პიროვნების ასეთ თვითნებობას თავისი დუმილით დასტურს სცემს თვით აქაური მკვიდრი. არ ითქმის, რომ ეს დუმილი გამოწვეული იყოს საქმის უცოდინარობით, ან შეუგნებლობით. არა, თვითეულ თელაველს კარგად ესმის რამდენად აბუჩად აგდებულია მისი მოქალაქეობრივი პიროვნება, მაგრამ მათი უკმაყოფილება გამოიხატება მხოლოდ მითქმა-მოთქმით; პრაქტიკულ ნაბიჯის გადადგმის შნო და უნარი კი თელაველ ქართველისთვის ღმერთს არ მიუცია... უმაგალითო გულგრილობამ და სიზანტემ გამოიღო ის სამწუხარო შედეგი, რომ მთელი მართვა-გამგეობა თელავისა ხელთ იგდო უფრო მხნემ და ფხიზელმა ელემენტმა, ეგრედ წოდებულმა ჩვენმა „მეზობლობამ“ და იმდენად მკვიდრი ნიადაგი მოიპოვა იქ, რომ ქართველების პრეტენზიები დღეს შეიძლება სასაცილოდაც აღარ ჰყოფნიდეს...

შეუძლებელია საქმის ასეთი ვითარება კიდევ დიდხანს გაგრძელდეს. უმოქმედობისა და უბრალო მითქმა-მოთქმის გზას აუცილებლივ უნდა ჩამოვცილდეთ და ანგარიში გაუწიოთ დღევანდელ მომენტს, რომელიც მოგვიწოდებს მხოლოდ და მხოლოდ მოქმედებისკენ, თუ გვწამს ჩვენი არსებობა როგორც ერივნებისა.

ამიტომ უაღრესად საჭიროა თელაველმა ქართველმა დასძლიოს თავისი სიზანტე და საჭირო ძალა გამოიჩინოს, რათა ქალაქის ცხოვრებაში მოიპოვოს ის უფლებანი, რაც მას ეკუთვნის და რომლითაც ვერ სარგებლობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ საქმეს დროზედ არ ეშველა „მეზობელთა“ საოცნებო ავტონომიაში ახალციხეახალქალაქს თელავიც მიემატება.

მაშ, მეტი სიფხიზლე და მეტი აქტივობა მომავალ არჩევნებში თუ კი ჩვენში გვეგულება რაიმე შემოქმედებითი ძალა, რომელმაც უნდა შეჰქმნას ჩვენი მომავალი.

Géorgien.

# წერილი კიზიყიდან

ომიანობამ ჩვენი სოფლის ხალხი მეტად საშინელ მდგომარეობაში ჩააყენა. ამას ზედ დაერთო პურისა და ღვინის მოუსავლობაც.

ჩვენი ხალხი ნივთიერათ საშინელ ტაჯვა-წამებას განიცდის. სოფლებში უზომო სიძვირეა. სოფლის ჩარჩები თავისუფლად თარეშობენ. მაგრამ ამას ვინა ჩივის. სოფლის გზაზე ისე გაივლით, რომ ერთი ახალგაზრდა მამაკაცი არავინ შეგხვდებათ. მიდიხართ გზაზე თავჩაქინდრული და როდესაც გულს ველარ შეიმაგრებთ მსხვილ-მსხვილი ცრემლები ჩამოგცვივათ თვალებიდან და იტყვით: „რა დრო დაგვიდგა“!

სოფელში თუ ინტელიგენტი მივიდა, ფაცი-ფუცი შეიქმნება ყველა თავის ღობესთან სდგას და ელოდება, აცა როდის ამოივლისო. პირველ შეხვედრაზევე იკითხავს: შვილო, ომი მალე გათავდება? მერე მოგაწვდის ნაკუწებში გახვეულს ქაღალდებს და ტირილით მოგმართავთ: ეს ერთი წელიწადია ჩემი შვილისა არც ავი ვიცი, არც კარგი.

გადასდგამთ ოციოდე ნაბიჯს და ტირილის ხმასავით გესმით: შვილო, შვილო, გენაცვალე, ომი მალე გათავდება? ამაზე პასუხს რომ მიუგებთ, ისიც ტირილით მოგმართავთ: ეს მეორე წელიწადია სამი ვაჟიშვილი ბრძოლის ველზე გავგზავნე არავითარი ცნობა არა მაქვსო.

არ მოიპოება ჩვენში იმისთანა ოჯახი, რომ ბრძოლის ველზე არა ვინ ჰყავდეს გაგზავნილი. ხშირად ერთი ოჯახიდან ოთხი-ხუთი ვაჟკაცია წასული.

ფრიად სასურველი იქნებოდა, რომ ჩვენს სოფლებში პატარ-პატარა ცნობების მიმწოდებელი ბიუროები არსებობდეს, სოფლის მცხოვრებლები მუდამ იმათ მიმართავენ. ეს დაწესებულება დიდს სამსახურს გაუწევდა ყოველ მხრივ გაჭირვებულს ჩვენს სოფლებს.

**ვ. ათანელიშვილი.**

# კეთილი ადამიანის ხსოვნას.

(ექ. პაველკოს გარდაცვ. გამო).

გორიდგან ფრიად სამწუხარო ამბავი მოვიდა: გარდაცვლილა ექიმი კ. პაველკო. გორელი კორესპონდენტი სამართლიანად უწოდებს მას „ღვთისნიერ კაცს“. პაველკო ერთ დროს ტფილისში ბინადრობდა, რაკი მისი ერთად-ერთი ვაჟი ადგილობრივ 1 გიმნაზიაში სწავლობდა. აქაც განსვენებული მხურვალე მონაწილეობას იღებდა მშობელთა წრეში. განსვენებული მართლა რომ მეტის-მეტი კეთილი და სათნო კაცი იყო. მას უკვე პენსია დამსახურებული ჰქონდა, სამსახურში აღარ იყო, მაგრამ „სამსახურს“ მაინც ეწეოდა. „ჩემი პენსია მე და ჩემ ცოლშვილს გვყოფნის, ჩვენ კი მეტი არ გვინდა. სამსახურის თავის დანებება არა ნიშნავს „უმოქმედობას“. მე მგონია, ეხლა უფრო, ვიდრე წინეთ, როდესაც სამსახურში ვიყავი, მოვალე ვარ ჩემი თავისუფალი დრო, ცოდნა, გამოცდილება, ძალი და ღონე იმათ მოვახმარო, ვინც ამაში საჭიროებსო“, და კიდევაც ასრულებდა პრაქტიკულად თავის აზრს და შეხედულობას. კ. პაველკოს ძრიელ აფიქრებდა ის გარემოება, რომ ახალი თაობა ნერვებაშლილი და დასუსტებულია; ეს იმას სამართლიანად დიდი უბედურების მოამასწავებლად მიაჩნდა. ამიტომაც ყველას იმას ურჩევდა, მეტი ყურადღება მიექციათ ფიზიკური აღზრდისათვის. მაშინდელ გიმნაზიის მთავრობას მან გამოსთხოვა ცალკე ოთახი, სადაც უსასყიდლოდ, ყოველ დღე რამდენიმე საათის განმავლობაში სინჯავდა ბავშვებს, უწერდა რეცეპტებს, აძლევდა დარიგებებს, ადგენდა სხვა და სხვა ტაბლიცებს და სხვ. რამდენიმე გამოკვლევა ჰქონდა დაბეჭდილი რუსულად. გულ-კეთილობასთან, მეტად დინჯი და აუღელვებელი ხასიათისა იყო. მახსოვს ერთი, ამ მხრივ, მისი დამახასიათებელი ფაქტი. როდესაც გიმნაზიაში სასიკვდილოდ დასჭრა შეგირდმა განსვენებული ტროიცკი, პაველკო რომელიღაც ოთახში შეგირდებსა სინჯავდა. მისცვივდნენ შეგირდები და წაიყვანეს განსვენებულის საშველად. პაველკო ჩასუქებული კაცი იყო, თანაც მოხუცი, და ჩქარი სიარული, ისიც კიბეებზე, ძალიან უჭირდა, შეგირდები კი აჩქარებდნენ. ბოლოს რომელიღაც შეგირდმა სტაცა კისერში ხელი, დანარჩენნიც მიეშველნენ და მუჯლუგუნების ცემით ძუნძულით გააქცუნეს საზარელი ადგილისაკენ. პაველკო ისე დაღლილიყო, რომ ძლივსღა სუნთქავდა. ასეთი, პირველი შეხედვით, უდიერი მოქცევა შეგირდებისა არამც თუ არა სწყენია განსვენებულს, პირიქით, სასიქადულოთ მიაჩნდა შეგირდების ასეთი მოქცევა და გულკეთილი ღიმილით იგონებდა ხოლმე, როგორ დაამუჯლუგუნეს და დააჯიგლიგეს შეგირდებმა „გენერალი“. (პაველკო დეისტვ. სტატსკი სოვეტნიკი იყო).

ვინც განსვენებულ კ. პაველკოს ახლო იცნობდა. მისთვის საკვირველი არ არის, რომ მან გორელ ღარიბ მცხოვრებთა სამართლიანი სიყვარული დაიმსახურა. ხალხს ის უყვარს, ვინც მას უანგაროთ შეიყვარებს. „ღვთისნიერი ექიმი პაველკო“ თავის მოქმედებით, მოყვასისადმი უანგარო სიყვარულით მოგვაგონებს შორეულ დროს. იგი უნდა ჩაირიცხოს იმათ სიაში, რომელთაც ეკუთვნოდა ექიმი გააზი და სხვ. გორელ ღარიბ მცხოვრებთა გულწრფელ მწუხარებას ჩვენც უერთებთ ჩვენს მწუხარებას. საუკუნოდ დარჩება მისი ხსოვნა ხალხის გულში.

**ვას. ჯაფარიძე.**

# დ. ზუგდიდის აფთიაქის გამგეთა საყურადღებოდ

ამ დღეებში ჩვენთან შემოირბინა სოფ. ზედა-ეწერის (კორცხელის საზოგადოება) მცხოვრებმა გლეხმა სესია ლაშხიამ წამლებით ხელში და მოგვმართა ხვეწნით: „ბ-ნო, გვიშველეთ, ჩემი მეზობელი, ფილანგია, კვდება; ეს წამლები მოვიტანეთ ზუგდიდიდან, მაგრამ დარიგება ლათინურად დაუწერიათ და ვერაფერი გავუგეთ,—არ ვიცით როგორ ვიხმაროთ, გთხოვთ ქართულად გადაგვითარგმნო და დაგვიწეროო“.

ცოტა არ იყოს გვეუცხოვა „ლათინური“ დარიგება.—ავიღეთ წამლები ხელში. წამალი სამი თავი იყო, ექიმ დ—ძის რეცეპტით: ერთი შუშით და ორი—ბანკით. — რეცეპტებზე ლათინურად, ჩვეულებრივად, მხოლოდ წამლების შემადგენლობა იყო აღნიშნული, ხოლო დარიგება—არც ერთ ენაზე... რეცეპტების №№: 186, 187 და 188.—პირველზე ლაკონიურად, ყრუდ ეწერა რუსულად „мазь“, მეორეზედ—„мазь для поса“ (უთუოდ „носа“), და მესამეზედ—„полосканіе“.—ვგონებ მკითხველიც დამეთანხმება, რომ აქ რუსულის ქართულად გადათარგმნა საქმეს სრულიად არ შველის: მაზь—წასაცხები ანუ დასაზელია, მაგრამ სად წაუსვან ან რა დაუზილონ ავადმყოფს, თავი თუ ფეხები?..

ჩვენ დაწვრილებით გამოვკითხეთ წამლების მომტანს, თუ რა სტკიოდა ავადმყოფს და მხოლოდ მაშინ შევიძლეთ მიგვეცა შესაფერი დარიგება მათი ხმარებისა.

ეტყობა ვიღაცას ზუგდიდის აფთიაქში ძლიერ ეხალისება რუსული წერა და ვარჯიშობს, მაგრამ ამისთვის არსებობს რვეულები; ხოლო რეცეპტებზე ვარჯიშობა სირცხვილია და პასუხ-საგებიც, რადგან ამ ვარჯიშობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ადამიანი.—ჩვენ მიერ აღნიშნულ შემთხვევაშიაც ზემოდ ხსენებული „полосканіе“ უნდოდათ თურმე უვიც ოჯახში მიეცათ ავადმყოფისთვის **დასალევად**, მხოლოდ ჩვენთან წამლის მომტანს, სესიას, რაღაც ალღოს მიხედვით დაუშლია.

წამლის დარიგება უნდა იყოს სრულიად გასაგები.—ჩვენში, განსაკუთრებით სოფლელებისთვის, უნდა იწერებოდეს **ქართულად**, რომლის წამკითხველი თითქმის ყოველს ოჯახში მოიპოვება ეს კიდევაც ასე იყო ყოველგან და ყოველთვის, როგორც სხვაგან ისე ზუგდიდის აფთიაქშიაც, ხოლო უკანასკნელს აღნიშნული „ცვლილება“ შემოუღია, ეტყობა, ახალი წლიდან. სწორე მოგახსენოთ, ვერაფერი პროგრესია!

**კაი.**

# ოკრიბის მხარე

არის ხოლმე ჩვენს ბედშავ საქართველოში ესა თუ ის კუთხე მივიწყებული, რომლის საკეთილდღეოდ თავისი მკვიდრნი ინტელიგენცია ნაკლებათ ზრუნავს. ჩვენ ეს ზნეთ დავჩემდა და ორი ანბანი თუ შევისწავლეთ, ქალაქს მივაშურებთ, ვაპარტახებთ ჩვენი მამაპაპის სისხლით მორწყულ ადგილ-მამულს, რომელიც ოდესღაც საუცხოვო ბაღებით იყო შემკული.

მეურნეობას, რომელსაც შეუძლიან ჩვენი მშრომელი გლეხობის გაღონიერება და ფეხზე წამოყენება, ყურადღებას არ ვაქცევთ და მუშაობა-ხელმძღვანელობა შეუგნებელი გლეხებისა სირცხვილათ მიგვაჩნია.

ასე გვაქვს დაყენებული ვაჭრობამრეწველობის საქმე და ბევრს, ძალიან ბევრს კუთხეში თვით განათლებისა და გათვითცნობიერების საქმეც.

და ამ მხრით დასავლეთ საქართველოს თითქმის ყოველ კუთხეს ჩამორჩება ოკრიბის მხარე. აქ თუმცა მოიპოება რამდენიმე ინტელიგენტი, შეგნებული და მოღვაწე ადამიანი, მაგრამ იმათ ბუნებით მდიდარი პროვინცია დასტოვეს და ქალაქს აღარ შორდებიან და თავისი კუთხის საჭიროებისათვის თავს არ იწუხებენ.

მივიწყებულია ეს კუთხე ძველად ციხე-კოშკებით გაშენებული და მკვიდრნი მცხოვრებნი შეუგნებლობასა და სილატაკეში იხრჩობიან.

მთელს ოკრიბაში ამ ჟამად თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სოფ. ხრესილს—სადგურ „სერნია ვოდის“ მიდამოებს, რაც ბ. ნიკ. შენგელიას მეცადინეობით გამშვენიერდა. ამ რამდენიმე წლის წინად ეს ადგილი სულ სხვა სურათს წარმოადგენდა. იქ არ არსებობდა არც სკოლა, არც სამკითხველო არც სასოფლო საავადმყოფო და მგზავრი შიმშილით, რომ მომკვდარიყო პურსაც ვერ იშოვნიდა, ეხლა კი სულ სხვა არის ხრესილი. იგი გაშენდა და პატარა დაბას დაემსგავსა.

1909 წ. სოფ. ხრესილში დიდი ვაივაგლახით დაარსდა სასოფლო საავადმყოფო, სადაც ექიმათ დაინიშნა ბ. ნიკო შენგელია. მან ოკრიბაში თავისი დაუზარებელი მოღვაწეობით ბევრი კეთილი საქმე დასთესა. ხელი შეუწყო მკითხაობისა და ცრუმორწმუნოების შემცირებას. გლეხებს ჩამოაშორა ჩარჩი სოფლელი ექიმები და მის ნაცვლად თვითონ ექიმობდა. 12—15 ვერსის მანძილზე ცუდ ამინდებში უსასყიდლოდ ფეხით დადიოდა, ავადმყოფებს წამლებს უფასოთ ურიგებდა და აძლევდა ჭირისუფლებს ყოველგვარ დარიგებას თუ როგორ მოევლოთ ავადმყოფისათვის.

ბ. ნ. შენგელიამ ჩაქვიდან (ბათუმის ოლქი) თავის ხელით მოიტანა ჩაის ნერგები და გლეხებს დაურიგა, რომ მოეშენებიათ, აგრეთვე გლეხებს დაურიგა დაფნის ნერგები, რაც დიდ შემოსავალს იძლევა.

გავიდა რამდენიმე ხანი ოკრიბაში მისი შრომის შემდეგ და აღიძრა საკითხი, რომ ხრესილში დაარსებულიყო სამკითხველო. ნ. შენგელიამ აქაც დიდი შრომა იდვა თავზე ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხის განსახორციელებლად.

ოკრიბის მხარეში სულ სამი სამკითხველოა, ხრესილში, კურსებში და ტყიბულში. მაგრამ ეს სამკითხველოები ისე მცირეა ოკრიბისათვის, როგორც ერთი წვეთი—ზღვისათვის.

ხრესილში ამ ჟამად არსებობს სამრევლო ერთ-კლასიანი სკოლაც და ამ სკოლის დაარსებაში მთავარ ინიციატორად ბ. შენგელია ითვლებოდა. ერთი სიტყვით გამშვენიერდა სოფ. ხრესილი და გამშვენიერდა დროებითი სტუმრის მეოხებით.

ამას ყველას მიტომ ვამბობ, რომ როდესაც ჩვენი მიყრუებული კუთხეებისათვის არა ვალდებული ადამიანი შრომობს ჩვენ გვძინავს და ძილიდან თავის დაღწევას აღარც კი ვფიქრობთ.

ესეც არ იყოს 1913 წლიდან, მის შემდეგ რაც ბ. ნიკო შენგელია ქუთაისის საგუბერნიო ექიმის თანაშემწედ გადაიყვანეს, რას მიაგავს ხრესილის საავადმყოფო. ექიმი თვეში ერთხელ არ მოდის საავადმყოფოში და ფერშლები კი საწყალ გლეხებს ტყავს აძრობენ. როდესაც ისინი ვალდებულნი არიან ავადმყოფი თავის ბინაზე უსასყიდლოდ ინახულონ ამის მაგივრად გაჭირვებულ ჭირისუფლებს 3—5 მანეთის ნაკლებს არ ჯერდებიან.

ბევრს ღატაკებსა და ქვრივ ობლებს შეხვდებით ამ ჟამად ოკრიბის სხვა და სხვა სოფლებში, რომელნიც ექიმ შენგელიას ნეტარებით იხსენიებენ. მას ლოცავენ და თვალცრემლიანი იმ საავადმყოფოს მისჩერებიან; სადაც მათთვის კარი დახურულია.

ასეა დაყენებული ოკრიბის საქმეები. იქ საჭიროა მცოდნე, დაუზარებელი ადამიანი, რომელიც მშრომელ გლეხობას შეაყვარებს მეურნეობას, წერა-კითხვის შესწავლას და ისეთს საქმეებს, რაც ამა თუ იმ კუთხეს ჩვენის სამშობლოისას ფეხზე წამოაყენებს და ღატაკ გლეხობას წელს გაუმართავს. და ეს თვითეულმა ჩვენგანმა უნდა ვიდვათ თავზე და დარწმუნებული ვარ, რომ მალე, სულ მალე ჩვენი სამშობლო—საქართველო ისევ ამწვანებული ბაღებით მოიფინება, როგორც ეს ძველად იყო ჩვენში.

**ნამი.**

# დაბა-სოფლები

**ხევი** (დუშეთის მაზრა). დუშეთის მაზრაში ახალის კანონის ძალით მამასახლისები ყველგან აირჩიეს. ჩვენში კი, არ ვიცით რა მიზეზით, აქამდინ არჩევნები არ მომხდარა. ხალხი მოუთმენლად ელის ახალის წესით ახალის მამასახლისის არჩევასა, იქნება უკეთესობა რამ დაგვემართოსო. კარგს იზამს დუშეთის მაზრის უფროსი, რომ არჩევნები აღარ გადადოს სამერმისოდ და დროზე ჩვენც გვასარგებლოს იმ ახალის კანონით რომლითაც ისარგებლა დანარჩენმა ხალხმა. მომრიგებელი შუამავალი იმას ასაბუთებს, რომ საქმარისი ხალხი შინ არ არის და თიბათვემდის უნდა გადაიდოს არჩევნებიო. ეს მოსაზრება მართალი არ არის ამაზედ მეტი ხალხი არასოდეს არ იქნება შინა, რადგანაც კარგის ამინდის გამო ყველა მემცხვარე შინ არის და 1-ლ მარტის თვემდე ცხვარში არავინ წავა.

**აქაველი.**

# პროვინციის ქრონიკა

**პატარა ონის საზოგადოება**

აქაურ გლეხკაცობას ხშირად გამოუცდია გაჭირვება, მაგრამ ამ გვარი არაფერი უნახავს რა. შიმშილი, სიტიტვლე, ომიანობისაგან გამოწვეული მწუხარება. ყველაფრის უზომო სიძვირე, ათასგვარი გადასახადის მიმატება და სხვ.

**რ ა ჭ ა**

საექიმო დახმარების მხრივ რაჭა უნუგეშო მდგომარეობაშია. ექიმი ერთია, რამდენიმე ფერშალი, მაგრამ ზოგი მათგანი თავის მოვალეობას პირნათლად არ ასრულებს. აქაური ინტელიგენცია არავითარ კულტურულ მუშაობას არ მისდევს. (აზ.)

**დ. ო ნ ი**

ქუთაისსა და ონს შუა ეტლების მიმოსვლა წესიერად არ სწარმოებს, რადგან გზები თოვლმა ძლიერ გააფუჭა.

**ჭრებალო**

17 იანვარს რაჭა ლეჩხუმის საზღვარზე—ჭრებალოში თავი მოიყარა ხვანჭკარის და ჭყვიშის საზოგადოებებმა. გადასწყვიტეს კოოპერატიული დუქნის გახსნა. ათასამდე წევრი ჩაეწერა.

**ს. ვანი** (გურია)

9 იანვარს ორ კლასიან სასწავლებლის დარბაზში მოხდა ახლად დაარსებულ მომხმარებელ საზოგადოება „იმედი“-ს დამფუძნებელი კრება.

**ს. მუხაყრუ** (ქუთ. მაზ)

აქაურმა მცხოვრებლებმა იშუამდგომლეს ქუთაისის გუბერნატორთან, მიეცეთ ნება დააარსონ მომხმარებელი საზოგადოება.

**ს. ზენობანი** (ქუთ. მაზ.)

ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო ზენობის მცხოვ ებთ დააარსონ მომხმარებელი საზოგაოოება „რიჟრაჟი“.

# მაჰმადიანთა ცხოვრება

„[illegible] საზოგადოების მორიგ სხდომაზე, კვირას 24 იანვარს, დაადგინეს: 1) 29 იანვარს ტაგიევის თეატრში დადგან ახუნდოვის კომედია „ჰაჯი ყარა“. 2) გახსნან ბაქოში მაჰმადიანთა სავაჭრო სკოლა. ამოირჩიეს კომისიაში ოთხი კაცი, რომელნიც შეიმუშავებენ სკოლის პროგრამას.

# სომეხთა ცხოვრება

გაზ. „ჰორიზონი“-ს უკანასკნელ ნომერში მოთავსებულ ანგარიშიდან სჩანს, რომ ამ გაზეთის საშუალებით სომეხთა „დრუჟინიკების“ სასარგებლოდ შეკრებილია 111,493 მანეთი, ხოლო ოსმალეთის სომხეთთა და დარბეულთა სასარგებლოდ—82.668 მან.

ამ რამოდენიმე ხნის წინად ქ. თბილისში დაარსდა შრომის ბიურო, რომლის მიზანია საქმე და სამუშაო მოუნახოს ოსმალეთის სომხეთის დარბეულ ხელოსნებს, მუშებს და მასწავლებლებს და სხვათა. (თ. ა.).

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**

# ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისიდან გადის:**

| | | № | ს. წ. |
|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. მ. | 9 | . 8.53 საღ. |
| „ | საფ. „ | 3 | . 9.58 დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. „ | 19-20 | 3.20 ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი „ | 4 | . 10.20 საღ. |
| „ | ჩქარი „ | 6 | . 12.8 დღის |
| „ | სამგ. „ | 8 | . 11.13 ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | . 11.13 ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. მ. | 4 | . 9.30 საღ. |
| „ | სამგ. „ | 10 | . 9.51 დილ. |
| ბაქოდან | საფ. „ | 3 | . 9.3 დილ. |
| „ | ჩქარი „ | 5 | . 7.41 საღ. |
| „ | სამგ. „ | 7 | . 1.42 ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. „ | 19-20 | 7.25 დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | . 8.8 დილ. |

# კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | |
|---|---|---|
| ტფილისიდან . . | 8 ს. 58 წ. | დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ 23 „ | „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ 43 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 10 „ 42 „ | „ |
| იორიდან . . . | 11 „ 35 „ | „ |
| საგარეჯოდან . | 12 „ 17 „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ 15 | დღის |
| მელაანიდან . . | 2 „ 37 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ 08 „ | „ |
| ვაჩნაძიანიდან . | 4 „ 58 „ | „ |
| თელავში მიდის . | 5 „ 35 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ 18 „ | „ |
| კარდენახიდან . . | 4 „ 50 „ | „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ 15 „ | „ |

**თ ე ლ ა ვ ი დ ა ნ**

| | | |
|---|---|---|
| თელავიდან . . . | 8 ს. 58 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან . . | 9 „ 45 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 10 „ 46 „ | „ |
| მელაანიდან . . | 12 „ 02 „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ 13 „ | დღის |
| საგარეჯოდან . . | 2 „ 15 „ | „ |
| იორიდან . . . | 2 „ 53 „ | „ |
| ვაზიანიდან . . | 3 „ 40 „ | „ |
| ნავთლულ-კახეთ. . | 4 „ 31 „ | „ |
| ნავთლულ-ამიერ-კავ. | 4 „ 46 „ | „ |
| თბილისში მიდის . | 5 „ 01 „ | „ |
| წნორის-წყლიდან . | 9 ს. 16 წ. | დილ. |
| კარდანახიდან . . | 9 „ 46 „ | „ |
| გურჯაანში მიდის | 10 „ 16 „ | „ |

წ ი გ ნ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა
„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).
ი. დ. კ ი კ ნ ა ძ ი ს ა.
თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.
გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეწველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვილ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „„მეშოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.



სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.